საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბოქდ-ვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭოტებით ბეთ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 8 თებერვალი. 2017 წ. №29 (8166), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თეიმურაზ ქორიძე: მთავარი ქართული ტელევიზია „გვირაბში ვერ ეტევა“...



როგორია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვასილ მაღლაფერიძისეული მართვის ახალი მოდელი? 5

ავთანდილ არაბული, გურამ ლორთქიფანიძე: გრაკლიანის გორა-ნამოსახლარის გამოუცნობი წარწერების თაობაზე 4

კაცი არა ჩანს!..

იაკობ ლეჭავა: ვინ დააყენებს ქვეყანასა და ერს სწორ გზაზე? 6

სამეზობლოდან გადმოსული პრობლემები

ბათუმში, შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე 8

„თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში არაფერი ხდება ისეთი, რის გამოც აღელვება ღირდეს“

წმიდა კეთილმსახური მეფე – დავით ალმა-შენებელი 11

რა საფრთხეს გვიქმნის მაღალი წნევა? 9

პროკურატურა წერილებს ასაჯაროებს 3

ეჰ, საყვარელიძევ! შენი ზედმეტი სიცხარე შენსავე დანაშაულზე მეტყველებს!

რა უნდა ალანიას შიდა ქართლში, თიბილოვ?! 2

რა უნდა ალანიას შიდა ქართლში, თიბილოვ?!

ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის სახელის გადასარქმევად პლებისციტი 9 აპრილს გაიმართება

— ამის შესახებ გადაწყვეტილება ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა უკვე მიიღო.

მან 2015 წელს განაცხადა, რომ სურს, ე.წ. რესპუბლიკას „ისტორიული სახელწოდება — ალანია დაუბრუნოს“.

დე ფაქტო ლიდერის ე.წ. ბრძანებაში აღნიშნულია კითხვის ფორმულირება, რომელსაც რესპუბლიკის მოსახლეობამ უნდა უპასუხოს:

„თანახმა ხართ, თუ არა კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა — ალანიის სახელმწიფო — სუვერენული, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის მოსახლეობის თვითგამორკვევის საფუძველზე. სახელწოდება — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ალანიის სახელმწიფო ერთი და იგივეა“.

პრეზიდენტი ცხინვალურ პლებისციტსა და საპრეზიდენტო არჩევნებს ეხმაურება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ცხინვალში, 9 აპრილს დანიშნულ ე.წ. პლებისციტსა და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„პლებისციტი, არჩევნები ან რაიმე სხვა ქმედება რომელიც გულისხმობს მოსახლეობის ნების თავისუფალ გამოხატვას ვერ განხორციელდება ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებულია უცხო სახელმწიფოს მიერ, საიდანაც გამოდევნილია მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა, სადაც ჩატარდა ეთნიკური წმენდა და დღეს ადგილზე ეფექტური კონტროლი განმახორციელებელ ერთადერთ ძალად გველენება რუსეთის ფედერაცია.

ნებისმიერ მცდელობა, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონს შეეცვალოს სახელწოდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე, წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და მთლიანობის ხელყოფის მცდელობას და მორიგ ნაბიჯს, გადადგმულს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემგომი ანექსიისაკენ.

კვლავაც მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, რომ გადადგას რეალური ნაბიჯები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისაკენ.

მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ წინ აღუდგნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას და ამ ე.წ. არჩევნებსა და პლებისციტის შედეგების ლეგიტიმაციის ნებისმიერ მცდელობას“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ირაკლი კობახიძე: საკონსტიტუციო კომისია სწორი ფორმატით ჩამოყალიბდა

პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნის წინ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ბრიფინგი გამართა. კობახიძემ ანგარიში წარადგინა და აღნიშნა, რომ ანგარიშით ყოველი სესიის დასრულების შემდეგ წარსდგება. პარლამენტის თავმჯდომარემ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაზე ისაუბრა.

„პარლამენტმა აქტიურად დაიწყო საპარლამენტო უფლებამოსილებების განხორციელება. ჰქონდა ძალიან კარგი სტარტი. არჩევნების წინ გვქონდა ძალიან პოლარიზებული პოლიტიკური გარემო და ამის გათალისწინებით, პარლამენტი იდგა განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ გადავსულიყავით თვისობრივად ახალ ეტაპზე პოლიტიკური ურთიერთობებისა პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. რეალურად გაკეთდა ყველაფერი იმისათვის, რომ პოზიტიური საფუძველი ჩაგვეყარა პარლამენტის შიგნით ურთიერთობების ჯანსაღ გარემოში გავნვითარებისათვის. კონსენსუსის საფუძველზე იქნა მიღებული ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია ოპოზიციის ჩართულობასთან საპარლამენტო ცხოვრებაში“, — განაცხადა კობახიძემ და ამ მხირვ, ხაზი გაუსვა საპარლამენტო თანამდებობის სამართლიანად გადანაწილებას.

პარლამენტი უარს ეუბნება სასამართლოს მეტ დამოუკიდებლობას?!

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს სასამართლო რეფორმის მესამე ტალღასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები წარუდგინა. როგორც ანა დოლიძემ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, პრეზიდენტის შენიშვნები და მოსაზრებები სასამართლო სისტემის გაჯანსაღებას ემსახურება და შინაარსობრივად სამ ნაწილად იყოფა.

„შენიშვნათა ერთი ჯგუფი ეხება სასამართლო სისტემის დეცენტრალიზაციას და მოსამართლეებისათვის მეტი ავტონომიის მინიჭებას. შენიშვნების მეორე ჯგუფი ეხება მოსამართლეთა დაცულობისა და დამოუკიდებლობის გაზრდას. შენიშვნების მესამე ჯგუფი შეედარებით ტექნიკური ხასიათისაა და გთავაზობთ ცვლილებებს, რომლებიც უფრო დახვეწავს ჩვენი მართლმსაჯულების სისტემას.

სასამართლოს დეცენტრალიზაცია და მოსამართლეთა თვითმმართველობისა და ავტონომიურობის გაზრდა მნიშვნელოვანი ფასეულობაა და აღნიშნულია ჩვენივე კანონმდებლობაში, აღნიშნულია ვენეციის კომისიის არაერთ მოსაზრებაში, ასევე ჩვენთვის მრავალ საინტერესო და სახელმძღვანელო საერთაშორისო დოკუმენტში“, — განაცხადა ანა დოლიძემ საკომიტეტო განხილვაზე.

ანა დოლიძემ დეპუტატებს გადაწყვეტილების მიღებამდე მოტივირებული შენიშვნების გააზრებისაკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ არის ფატალური, ან დრამატული ეტაპი. ეს არის საშუალება, რომ პრეზიდენტმაც მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში.

მოტივირებული შენიშვნების წარდგენის შემდეგ შენიშვნების განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა არ გაიზიარა პრეზიდენტის შენიშვნები სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით და მხარი არ დაუჭირა მას.

„სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტი არ იყენებს ამ შესაძლებლობას, რომ გააძლიეროს სასამართლოს დამოუკიდებლობა.

ამ უარით იგი უარს ეუბნება სასამართლოს მეტ დამოუკიდებლობას, მეტ გაჯანსაღებას და რაც მთავარია, ვენეციის კომისიის ძალიან პრინციპულ პოზიციებს“, — განაცხადა ანა დოლიძემ სხდომის დასრულების შემდეგ.

◎ პოლიტიკური პარადოქსები

ნაცების გაცამტვერება ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა!

ქართველი ხალხი „ოცნებას“ „ნაცების“ შესაძლო აღორძინებას ვერ აპატიებს!

საქართველოს ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცხოვრება პარტიულ ინტერესებს იქით ვერ წავიდა, უფრო მეტიც — ისე შეერწყა სახელმწიფოს, ზღვარიც ვერ გაგვივლია. მათი მიზანი ხელისუფლების, ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო, თუნდაც ქვეყნის გაყიდვის და განიავების ფასად. ამის კლასიკური მაგალითია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომლის სამივე შემადგენელი სიტყვა ისეთივე ყალბია, როგორც ამ პარტიის მოღვაწეობა“. „ოცნებას“ მისი ცოდვები და შეცდომები ეყოფა, თუნდაც ის, რომ „ნაცები“ დაინდო, ახლა რომ უკან მოუბრუნდნენ და ხალხის მტრად რაცხავენ. მაგრამ უფრო გაუგებარია სხვათა უმადურობა, რომ არა ივანიშვილი, რა დღეს დააყრიდა სააკაშვილის „ნაცბანდა“ დღეს მათთან გაერთიანებულ პარტიებს (ამათ რა ჩამოთვლის — ალასანია, ბურჯანაძე, უსუფაშვილი, ნათელაშვილი და ა.შ.), ნუთუ შეხსენება სჭირდებათ არცთუ შორეული წარსულისა, მაგრამ, ეტყობა, აქ მთავარი ხელისუფლებაში მოსვლაა, სკამი, თანამდებობა, შეუზღუდავი ძალაუფლება და პარტიულ ინტერესებს დაქვემდებარებული ქვეყანა, თავიანთ სამფლობელოდ რომ აქციეს „ნაცებმა“. ამათ თავიანთი საუკუნის დანაშაული პოლიტიკურ ასპექტში გადაიტანეს და მხოლოდ თავიანთ თანაპარტიელებზე, ვითომ პოლიტპატიმრებზე წუხან, თორემ თვითონ რომ უდანაშაულო ადამიანებით გამოტენეს ციხეები, ამაზე არაფერს ამბობენ. ხალხის გაღატაკება, გაუბედურება, ნულოვანი ტოლერანტობა და ახალგაზრდების ჩახოცვა, ბიზნესის რეკეტი და სხვა უამრავი სისაძაგლე თურმე დანაშაული არაა, მაშინ რატომაა დანაშაული, როცა არასრულწლოვნები, ქალები პურს და ძეხვს იპარავდნენ, რათა თავი გადაერჩინათ ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, ვიდრე ნაცმოძრაობა არ გასამართლდება. ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავეები არ დაისჯებიან და ვიდრე მთელი ეს დანაშაულებრივი სივრცე კულისებს მიღმა ხელშეუხებელი დარჩება და „ნაცები“ ჭკუის სწავლებას და დამოძღვრას გააგრძელებენ, „ოცნებას“ არ ექნება ძველებურად ხალხის მხარდაჭერა და „ნაცებიც“ მუდმივად მტრის ხატად არ გამოდგებიან.

„ოცნების“ ბრალი იქნება „ნაცების“ შესაძლო აღორძინება და ამას ქართველი ხალხი ვერ აპატიებს მას.

ან ეს ვაიტელევიზიები რას გვანან — საინფორმაციო პროგრამაში ციხიდან გამოსული უგულავა პირდაპირ ეკრანზეა და 20 წუთი შეწყვეტილ სამმავლო გეგმებზე ქაქანებს. არის დებატები და ინტერვიუები გაყრილთა, დაშლილთა თუ ერთიანი ფრონტით საბრძოლველად დაგეშელებთან. თუ „ნაცების“ ორივე განაყოფის მიზანი ივანიშვილისა და „ოცნების“ განადგურებაა, მაშინ რაღას გაებუტნენ ერთმანეთს, ცოტა გაუგებარია — თუ ეს არის გაქცევა პასუხისმგებლობიდან და დანაშაულების ერთ კაცზე გადაბრალება. მათ ერთად აიღეს მილიარდები ამერიკელებიდან და ქვეყანა ვალში ჩატოვეს, როგორც მძევალი, არადა, ამერიკა ჰარი-ჰარად ფულს არ არიგებს და არ მოგვეშვება ვიდრე თავისას არ მიაღწევს. ესეც „ოცნების“ თავსა-

ნაციონალების პროვოკაციული ხერხია: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი!

მოსამართლეების საქმიანობაში ჩარევის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურა გამოძიების შუალედურ შედეგებს ასაჯაროებს. მთავარ პროკურატურაში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა.

„მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ მოსამართლეების საქმიანობაში უხეში ჩარევის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების შუალედური შედეგები.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარე წლის 14 იანვარს დაიწყო გამოძიება სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით მოსამართლეების საქმიანობაში უხეში ჩარევის შესაძლო ფაქტზე. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების – ბესარიონ ალავიძისა და პაატა ქათამაძის წერილობითი განცხადებები და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მომართვა, რომლითაც დგინდება, რომ ხსენებულმა მოსამართლეებმა, ყოფილი ხელისუფლების თანამდებობის პირის სახელით საცხოვრებელ მისამართებზე მიიღეს წერილობითი მიმართვები, ასევე მობილურ ტელეფონებზე – უცხოური მობილური ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის გამოიკითხნენ განცხადების წარმომდგენი მოსამართლეები ბ. ალავიძე და პ. ქათამაძე, მათი ოჯახის წევრები და ნათესავები, დათვალიერდა ხსენებული მოსამართლეების მობილური ტელეფონები, ჩატარებულია და მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ხსენებული მიმართვების და მოკლე ტექსტური შეტყობინებების განმახორციელებელი პირების დადგენის მიზნით.

ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ 2017 წლის 11 იანვარს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ საცხოვრებელი სახლის მისამართებზე დ. საყვარელიძის სახელით მიიღეს წერილობითი მიმართვები, რომლითაც მიმართვების ავტორი მოსამართლეებს სთავაზობს გარკვეული ქმედებების განხორციელებას და ამ ქმედებების სანაცვლოდ არამართლზომიერ სარგებელს. ამავდროულად, ხსენებულმა მოსამართლეებმა მათ სარგებლობაში არსებულ მობილურ ტელეფონებზე უცხოური მობილური ტელეფონის ნომრიდან მიიღეს მსგავსი ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ მიღებული მიმართვებისა და სატელეფონო შეტყობინებების შესახებ წერილობით აცნობეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები, როგორც აღინიშნა, შემდგომი რეაგირებისთვის გადმოგზავნილი იქნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. გამოძიებით ასევე დგინდება, რომ ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძეს მოკლე ტექსტური შეტყობინებები გამოეგზავნათ უკრაინული მობილური ტელეფონის ნომრიდან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხვისას ორივე მოსამართლემ კატეგორიულად უარყო, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, მანამდე ან მას შემდეგ, მათ საქმიანობაში ჩარევის ან ჩარევის მცდელობის სხვა რაიმე ფაქტის არსებობა“, – აცხადებენ პროკურატურაში.

პროკურატურაში განმარტავენ, რომ სატელეფონო ნომრები, საიდანაც აღნიშნულმა მოსამართლეებმა მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიიღეს, გადამოწმების შედეგად დგინდება რომ უკრაინაშია რეგისტრირებული.

11 იანვარს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ საცხოვრებელი სახლის მისამართებზე დ. საყვარელიძის სახელით მიიღეს წერილობითი მიმართვები, რომლითაც მიმართვების ავტორი მოსამართლეებს სთავაზობს გარკვეული ქმედებების განხორციელებას და ამ ქმედებების სანაცვლოდ არამართლზომიერ სარგებელს. ამავდროულად ხსენებულმა მოსამართლეებმა მათ სარგებლობაში არსებულ მობილურ ტელეფონებზე უცხოური მობილური ტელეფონის ნომრიდან მიიღეს მსგავსი ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ მიღებული მიმართვებისა და სატელეფონო შეტყობინებების შესახებ წერილობით აცნობეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები, როგორც აღინიშნა, შემდგომი რეაგირებისთვის გადმოიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. გამოძიებით ასევე დგინდება, რომ ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძეს მოკლე ტექსტური შეტყობინებები გამოეგზავნათ უკრაინული მობილური ტელეფონის ნომრიდან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხვისას ორივე მოსამართლემ კატეგორიულად უარყო, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, მანამდე ან მას შემდეგ, მათ საქმიანობაში ჩარევის ან/და ჩარევის მცდელობის სხვა რაიმე ფაქტის არსებობა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის მე-2 ნაწილით. გამოძიების ფარგლებში საქმეზე სწრაფად და ეფექტურად ჩატარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება და გამოძიების შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას.

ამასთან, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, თავად მოსამართლეთა თანხმობით, საქართველოს მთავარი პროკურატურა ასაჯაროებს უზენაესი სასამართლოდან შემოსულ მასალას, რომელიც გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი, მათ შორის მოსამართლეებისთვის გაგზავნილ მიმართვებს და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. აღნიშნული მასალა განთავსებულია უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1130 – ნათქვამია განცხადებაში.

წერილების ავტორად დავით საყვარელიძე სახელდება

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა – ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ წერილობითი მიმართვები მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დავით საყვარელიძის სახელით მიიღეს.

„ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ 2017 წლის 11 იანვარს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა – ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ საცხოვრებელი სახლის მისამართებზე დ. საყვარელიძის სახელით მიიღეს წერილობითი მიმართვები, რომლითაც მიმართვების ავტორი მოსამართლეებს სთავაზობს გარკვეული ქმედებების განხორციელებას და ამ ქმედებების სანაცვლოდ არამართლზომიერ სარგებელს. ამავდროულად, ხსენებულმა მოსამართლეებმა მათ სარგებლობაში არსებულ მობილურ ტელეფონებზე უცხოური მობილური ტელეფონის ნომრიდან მიიღეს მსგავსი ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ მიღებული მიმართვებისა და სატელეფონო შეტყობინებების შესახებ წერილობით აცნობეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები, როგორც აღინიშნა, შემდგომი რეაგირებისთვის გადმოგზავნილი იქნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. გამოძიებით ასევე დგინდება, რომ ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძეს მოკლე ტექსტური შეტყობინებები გამოეგზავნათ უკრაინული მობილური ტელეფონის ნომრიდან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხვისას ორივე მოსამართლემ კატეგორიულად უარყო, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, მანამდე ან მას შემდეგ, მათ საქმიანობაში ჩარევის ან ჩარევის მცდელობის სხვა რაიმე ფაქტის არსებობა“, – აცხადებენ პროკურატურაში.

პროკურატურაში განმარტავენ, რომ სატელეფონო ნომრები, საიდანაც აღნიშნულმა მოსამართლეებმა მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიიღეს, გადამოწმების შედეგად დგინდება რომ უკრაინაშია რეგისტრირებული.

ეჰ, საყვარელიძევ! შენი ზედმეტი სიცხარე შენსავე დანაშაულზე მეტყველებს!

მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის შესახებ პროკურატურის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებას, წერილების ავტორად დასახელებული დავით საყვარელიძე „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან გამოეხმაურა და ყველას „ბდღვირი ადინა“.

„კომიკურში და ტრაგიკულში გადავიდა ეს ყველაფერი. ძალიან გული მწყდება, რომ სიმწრით ნაშენები ქვეყანა და ინსტიტუტები პრიმიტიული, გონებაშეზღუდული და ბოროტი ადამიანების ხელში აღმოჩნდა. ერთი უზუსტობა დაუშვა პროკურორმა, თავიდან მშვილდისრით ვაპირებდი წერილის ტყორცნას, შემდეგ მტრედებს გავატანე, მალე რომ მიეტანათ, ესეც უნდა დაემატებინათ და სრული სურათი დაიხატებოდა“...

დავით საყვარელიძე საქმეში სუს-ის ჩართულობაზეც ისაუბრა.

„უნამუსობა და სისხლის სამართლის დანაშაულია, რასაც ისინი აკეთებენ, ამას ჰქვია სისხლის სამართლის დანაშულის მასალების, მტკიცებულებების გაყალბება, ამაზეა ცალკე მუხლი, ადრე თუ გვიან ეს მუხლი უნდა გააქტიურდეს, რომ ეს სისტემები და ინსტიტუტები არ იყოს მართული პოლიტიკური ჯგუფების მიერ“...

საყვარელიძის განცხადებით, ის მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის საქმეზე არ დაუკითხავთ.

„სატელევიზიო კომუნიკაცია აქვს საქართველოს პროკურატურას ჩემთან. ფალსიფიცირებული, ბრიყვული თხზულებების მეშვეობით, შევარდნაძისდროინდელი უშიშროება და პროკურატურა ამას არ იზამდა, არ იკადრებდა. სამარცხვინოა, პირში ვეტყვი, როცა ვნახავ ყველა იმ პროკურორს, რომლებიც მე კარგად მიცნობენ, ვინც დღეს გამოაცხადა, მისი ხელმძღვანელები, შოთაძე, გაბიტაშვილი, ეს არის უნამუსობა, არაკაცობა და სისხლის სამართლის დანაშაული,“ – განაცხადა დავით საყვარელიძემ.

◎ პოლიტიკური პარადოქსები

ტეხია, რომელიც ორ ცეცხლს შუა ტრიალებს – აქეთ ხალხი გმინავს, ამერიკა კი თავის მამაძაღლებს იცავს.

ახალ რევანშისტულ „ნაცებს“ ძველის დატოვება ჯობს. მილიარდერები თუ ხელისუფლება გარე მტრებს უფრთხიან, ხალხს კი არავისი არ ეშინია, არაფერი აქვს დასაკარგი, მისმა პრინციპულმა პოზიციამ ქვეყანა უნდა გადაარჩინოს, ამიტომ უნდა მიეხდოს „ოცნება“ ხალხს და ხალხიც უნდა მიეხმაროს მას შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში.

სამწუხაროდ, პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანან ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც არავის წინაშე არ არინ ვალდებულნი, ვერც რუსი დააყვედრის რამეს და ვერც ამერიკელი. არ ვამბობთ რომ ევროპული ღირებულებები არ გვჭირდება, განა ჩვენ ბუნებით ჰუმანისტები, დემოკრატები, ტოლერანტები არა ვართ? თუ ტექნოლოგიებზე მიდგება საქმე, კოლხებს როცა ოქროდამწერლობა ჰქონდათ, ევროპული ტომები ენას იდგამდნენ, რუსებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სამწუხაროდ, მუდამ მტრულ გარემოცვაში მყოფნი ჩამოვრჩით განვითარებით და ეს დანაკლისი თანამედროვე ახალგაზრდობამ უნდა აანაზღაუროს. ისწავლონ ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ ქვეყანა არ უნდა დაავიწყდეთ, იქ არ უნდა დარჩნენ სამუდამოდ. როგორც ორაგული მიილტვის დაბადების სათავეებისაკენ, ჩვენც უნდა დაგვაბრუნოს სისხლის ყივილმა. საქართველო მხოლოდ მიწა არაა, ქართველობა ბედისწერაა და ამ სამშობლოს ყიდიან და ანგრევენ ვითომ პატრიოტები, რომელთაც ძალაუფლებაც სათავისოდ სჭირდებათ და არა ხალხისთვის, რომელიც კარგა ხანია, მეფე ლირივით მიტოვებულია. სააკაშვილის ნარჩენებს ისევ ითმენს ქვეყანა, ვისაც „რუსთავი-2“ ტელევიზიად მიაჩნია, როგორც სინდისის, პატიოსნების, სამშობლოს სიყვარულის განსახიერება, ან უგუნური მოკეთეა ან შეგნებული მტერი. ამ ტელევიზიას იცავენ პარტიები, „პოლიტიკოსები“ მედიის სიტყვის თავისუფლების მოთხოვნით. მაგრამ ბინძური სიტყვის თავისუფლება როგორი ასატანია. შალვა და ძმანნი მისნი ვითომ სიმართლეს გაჰყვირიან, სამაგიეროდ კარგ გასამრჯელოს იღებენ. არაფრის მქმნელი პარტიებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ან რა საჭიროა 200 პარტია ერთ ციდა ქვეყანაში!

რა მალე გავიდა საქართველოს დამოიკიდებლობის აღდგენის 25 წელი და რა მივიღეთ, – ვითომ დამოუკიდებლობა, ვითომ დემოკრატია, ვითომ თავისუფლება, სიღარიბეს მიბმული, დამონებული ხალხი! ეს ხდება 21-ე საუკუნეში. ქართველები უომრად, მტრის გარეშე ტოვებენ საქართველოს. განა ძნელი გამოსაცნობია ის, ვინც ამ დღეში ჩააგდო ქვეყანა, განა ხილული არაა დანაშაული, თუნდაც გადამალულ ფირებზე აღბეჭდილი, რატომღაც რომ დაწვეს და გაანადგურეს როგორც ბრალდება. გველი პერანგს იცვლის, მაგრამ მისი ბუნება უცვლელია, ისევ მოცოცავს და წინ არავინ ეღობება, პირიქით, უერთდებიან გზადაგზა ეს ვაი-პარტიები, დღედაღამ რომ გაჰკივიან, ივანიშვილი უნდა ჩამოვაგდოთ, ჩვენი საერთო მტერიაო, სანამდე მივიდა ქვეყანა, მტერ-მოყვარეს ვერ არჩევენ, ნაცები ისევ აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას, რათა „ოცნებას“ დაბრალდეს. დღედაღამ ნაკლოვანებებზე მიუთითებენ, მაგრამ არა იმიტომ რომ ხალხი აწუხებთ, არამედ სხვის უვარგისობას გაუსვან ხაზი და ისევ თვითონ მოვიდნენ. კრიტიკით სპეკულაცია, პატრიოტიზმით სპეკულაცია, თორემ რუსის კედელს კაცი დაეტაკებოდა? აი, რა წნეხის ქვეშაა „ოცნება“, ამ ნაძირლებს ამერიკელები იცავენ და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო, გაიძახიან, ნატო ჩვენი იმედი და ხსნაააო, ამათ უნდათ ნატო, 9 წელი რომ ანგრევდნენ ქვეყანას? არადა, მილიონი ქართველი რუსეთშია გადახვეწილი და იქიდან არჩენს ლამის ნახევარ საქართველოს. პარადოქსია – ქვეყანა ოკუპანტიცაა, მტერიცაა და მოყვარეც. ასეთ მტერ-მოყვარესთან ურთიერთობაც ხომ აუცილებელია?!

პოლიტიკური შოუები მოსწყინდა ხალხს, ქვეყანას ვერ გაუგია, გვინდა თუ არა პრეზიდენტი, კონსტიტუცია „ნაცებმა“ უბის წიგნაკად გაიხადეს, ახლა ვიმკით შედეგებს. ესენი ვინც არიან ახლა გამოჩნდა, თუმცა, პარტიის განახლებას ვეძახით გაყოფა-დაპირისპირებას, მართლა ბნელა? ისე ვერაფერს ხედავთ? რატომ არ დაიშალა „ნაცები“ იდეურად მაშინ, როცა ქვეყანას ყვლეფდნენ? მაგრამ მაშინ ეს ერთი მიზანი ჰქონდათ.

წინ მეტად რთული წელი გველოდება. ეს არის „ოცნების“ გამოცდის წელი და კი არ უნდა ჩავუსაფრდეთ, უნდა დავეხმაროთ ამ უბედურების – მოძალადე ნაცების მოცილებაში. „ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, რომ არ შეიძლება ამათი დანდობა, „ვერ გაგიმეტე გიორგი“, დაგვღუპავს ასეთი ჰუმანურობა, ამან დაღუპა ზვიად გამსახურდია!

სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოთ და ხალხიც გვერდში დაგიდგებათ, ქვეყანა აქამდე აკვარიუმს გავდა, თევზებივით პირს ვაღებდით და ხელისუფლებას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენ – იმისი.

უიმედო, რწმენადაკარგულ და ღატაკ ადამიანს სამშობლო არა აქვს, იგი გარბის, თავს შველის. გარბიან ათასობით ქალები, დედები, ბიჭები, გოგონები... მოკლედ, ქვეყანა პარტიული კასტის სამფლობელო იყო, სადაც არ არსებობდა სამართლებრივი სივრცე. „ოცნებამ“ უნდა შეძლოს, ყველაფერ ამას დაარქვას თავის სახელი და დარჩეს ხალხზე მზრუნველ ღირსეულ პარტიად.

თუ ეს ასე არ მოხდა, საქართველო ვერ გადარჩება! დასასჯელი უნდა დაისაჯოს, ეს არც ამერიკის და არც რუსეთის საქმე არ არის, ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა.

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ.
ფოთი

გრაკლიანის გორა-ნამოსახლარის გამოუცნობი წარწერების თაობაზე

უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მომართვას მისი ერთი პუბლიკაციის გამო.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ქართული მეცნიერებისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უღალატო მეგობარი, ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის საიმედო ტრიბუნაა; ამავე დროს, იგი თავისუფალი სიტყვის ფართო ასპარეზია და დროდადრო, ცხადია, უწევს კერძო და არცთუ მთლად შემოწმებული თვალსაზრისების გამოქვეყნებაც. ამჯერად ჩვენი გამოხმაურების საფუძველი სწორედ რედაქციისეული სერიოზული რუბრიკა გახდა და არა თავად პუბლიკაციის რაიმე ანგარიშგასაწევი მეცნიერული ღირებულება.

კერძოდ, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ა. წ. 26 იანვარს რუბრიკით **„რედაქცია ყურადღებას ითხოვს“** გამოაქვეყნა ქალბატონ **ნ. მეგუთნიშვილის** ემოციური წერილი სათაურით **„გრაკლიანის გაშიფრული საიდუმლო“**. ამასთან ერთად, წერილს წამძღვარებული აქვს კიდევ ერთი სლოგანი — **„ერისა და ბერის, განსაკუთრებით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გასაგონად!“** — რასაც, ცხადია, გვერდი ვერ აევლება.

მოკლედ — ფაქტის შესახებ:

2015 წლის აგვისტო საქართველოში ერთი მეტად მნიშვნელოვანი, სენსაციური არქეოლოგიური აღმოჩენით დაგვირგვინდა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციამ კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. სამთავისის ტერიტორიაზე, იგოეთთან მდებარე მრავალფენიან გრაკლიანის გორა-ნამოსახლარზე, ადრერკინის ხანის ფენებში ტაძრის ნანგრევებში გაწმენდილ ორ საკურთხეველზე დაფიქსირდა ჩვენში მანამდე უცნობი დამწერლობის რამდენიმე გრაფემიანი ორი ნიმუში. ბუნებრივია, პროფ. ვახტანგ ლიჩელის ამ აღმოჩენამ ჩვენი და საზღვარგარეთული სამეცნიერო წრეების, ფართო საზოგადოებისა და მედიის ყურადღება მიიპყრო. აქტიური აზრთა გაცვლა მიმდინარეობს სოციალურ ქსელში, სადაც ყველას ეძლევა საშუალება საკუთარი მოსაზრება გამოთქვას ამ ჭეშმარიტად საუკუნის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ექსპედიციის ხელმძღვანელის დეტალური ინფორმაციით, პირველი საკურთხევლის კვარცხლბეკზე დატანილია 3 ასონიშანი (გრაფემა), მეორეზე კი — ათი. ეს წარწერა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოვლენილი. რადგან დღეს არსებობს უტყუარი ტექნიკა არქეოლოგიური ფენის ზუსტი დათარიღებისათვის, იმ გამომწვარი თიხის ნიმუში, რომელზეც ხსენებული გრაფემებია შესრულებული, გაგზავნილ იქნა აშშ მაიამის ლაბორატორიაში ე.წ. რადიოკარბონული (C_{14}) მეთოდით დათარიღებისათვის. უცხოელ ფიზიკოსთა ცნობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თიხის ნიმუში (ე. ი. წარწერა) დათარიღდა ძვ. წ. X საუკუნის მიწურულითა და IX ს-ის დასაწყისით.

ამ მონაცემების კონტროლისათვის საკურთხევლის წინ აღმოჩენილი ჭურჭლის შიგთავსი, ფეტვის მარცვლები, პროფ. ვ. ლიჩელის ძალისხმევით გადაგზავნილ იქნა იტალიაში; იტალიელმა სპეციალისტებმა თავად აიღეს სინჯები გრაკლიანის III ტერასის F-8, F-9 კვადრატებიდან. ამისა და, საერთოდ, გრაკლიანზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგების შესახებ პროფ. ვ. ლიჩელმა მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალისა და საველე დოკუმენტაციის ჩვენებით მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე 2015 წლის ოქტომბერში. ამავე წელს მისი მოხსენება „პალეო-ქართული დამწერლობა“ დაიბეჭდა I საერთაშორისო კონგრესის მასალებში (გვ. 80-84), რომელიც მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით გამოქვეყნდა. პროფ. ვ. ლიჩელის დასკვნით, საკურთხეველზე დატანილი 7 სმ-ის სიმაღლისა და 80 სმ-ზე მეტი სიგრძის წარწერა თიხაზე თავისუფლად, „ერთი ხელის მოსმით“ არის შესრულებული, რაც მოწმობს, რომ ამ წარწერის შემსრულებელი ოსტატი სულაც არ იყო ახალბედა ამ საქმეში. თავად აღმოჩენილი ნიშნები უნდა წარმოადგენდეს საკულტო დანიშნულების, რელიგიური შინაარსის წარწერას, რომელსაც ჩვენი წინაპრები ფლობდნენ ისტორიის ამ უძველეს დროს.

ფრიად საყურადღებოა, რომ გრაკლიანის (ადგილის სახელი უკავშირდება მცენარე „გრაკლას“ (ლათ. Spiraea) გათხრების პროცესში აღმოჩენილია ურუქის (აქედან იყო გილგამეში!), ანუ სამხრეთ-მესოპოტამიური წარმოების მე-4-3 ათასწლეულის ორი საბეჭდავი, ე.წ. პენტადერები, რაც უეჭველად ადასტურებს ქართლის კავშირს შუამდინარულ ცივილიზაციებთან. ეს საბეჭდავები გამოიყენებოდა პირად ნივთებზე იურიდიული საკუთრების აღნიშვნისათვის ყველა კლასობრივ საზოგადოებაში...

მართლაც ერისა და ბერის გასაგონად უნდა განვაცხადოთ, რომ მეცნიერებათა აკადემია აღმოჩენის პირველი დღეებიდანვე არის ჩართული გრაკლიანის ფენომენის კვლევის საქმეში. ამის შესახებ საქმის კურსში არიან ძველ დამწერლობათა სპეციალისტები, პალეოგრაფები საქართველოში, ევროპასა თუ ამერიკაში. მუშავდება ჰიპოთეზები, მათ შორის — ადრესემიტური თუ არამეული ანბანის მისადაგებისა უცნობ გრაფემებთან. აკადემიის ხელმძღვანელობა ადგილზე გაეცნო გრაკლიანის წარწერებს. საჯარო განხილვებისას თავიანთი აზრი გამოთქვეს ცნობილმა სპეციალისტებმა, აკადემიკოსებმა: თ. გამყრელიძემ, ო. ჯაფარიძემ, დ. მუსხელიშვილმა, ნ. ხაზარაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, კ. ფიცხელაურმა, პროფ. ე. მაჭავარიანმა, გ. გრიგოლიამ და სხვ.

სამწუხაროდ, ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რომ გრაკლიანის საიდუმლო გაშიფრულია და ძველქართულად იკითხება, მით უფრო, თითქოს ამ ათიოდე გრაფიკულ ნიშანში გამოხატული იყოს ხუთსიტყვიანი წინადადება!..

როგორც დავინახეთ, გრაკლიანის წარწერების პირველაღმომჩენს, გამორჩეულ პროფესიონალს, პროფ. ვ. ლიჩელს ყველაზე სრული ინფორმაცია მოეპოვება როგორც თვით არქეოლოგიური ობიექტის, ასევე შესაბამისი ეპოქის პალეოგრაფიული მონაცემების შესახებ და ყველა ღონეს მიმართავს, ეს უნიკალური მონაცემები რაც შეიძლება ფართო აკადემიური კვლევის საგანი გახდეს. უპირველესად, მანვე გამოთქვა ძალზე მნიშვნელოვანი წინასწარი ვარაუდები მის ხელთ არსებული წარწერების რაობის შესახებ. ამავე დროს, იგი და, საზოგადოდ, აკადემიური მეცნიერება დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით ეკიდება საბოლოო მეცნიერული დასკვნების გამოქვეყნებას, რადგან შეიძლება ნაჩქარევმა და შეუმოწმებელმა განცხადებებმა სერიოზული ჩრდილი მიაყენოს ამ ბრწყინვალე აღმოჩენას.

ვფიქრობთ, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ აკადემიური მეცნიერება მოვალეა ემსახუროს ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის დამკვიდრებასა და გავრცელებას და, მეორე მხრივ, დააზღვიოს ჩვენი საზოგადოება მცდარი თუ ფსევდომეცნიერული აზრებისაგან. ეროვნული განათლება და კულტურა ხომ მხოლოდ ჭეშმარიტ მეცნიერულ საფუძველზე აღმოცენდება და ვითარდება!..

სენსაციის მოყვარულნი ხშირად პატრიოტულ გრძნობებზე თამაშობენ და მყვირალა ფერებში ფუთავენ მწირ მოსაზრებებს. საქართველოს ძალზე დიდი კულტურა და ისტორია აქვს, იმდენად დიდი, რომ თანამედროვე ქართველობისათვის ისიც კი საპატიო ამოცანაა, რომ ღირსეულად შეძლოს ამ ზღაპრული მემკვიდრეობის შესაფერისი მოვლა და შენარჩუნება. საბედნიეროდ, ჩვენ არც ისტორიის გამოგონება გვჭირდება და არც სხვისი ქონების მითვისება, ამიტომაც კვლავაც ერთგულად უნდა დავიცვათ ჩვენი დიდი მასწავლებლების პრინციპული დამოკიდებულება როგორც ჭეშმარიტი მეცნიერული კვლევების, ისე დღემოკლე „სენსაციური აღმოჩენებისადმი“...

დღეს, ღია და თავისუფალი ინტერნეტსივრცის პირობებში, მკითხველი თუ მსმენელი ყოველდღიურად ხდება მოწმე ასეულობით გამაოგნებელი „აღმოჩენისა“ (დაწყებული უცხოპლანეტელებით და დამთავრებული მიწის წიაღში მყოფი „სულებით“). ასე რომ, „სენსაციებზე მონადირეთა“ გაზრდილი აქტიურობა მხოლოდ საქართველოში არ შეინიშნება. მაგრამ ისტორიული მემკვიდრეობის გააზრებაში ამგვარი აბერაცია ჩვენ სხვაზე მეტ ზიანს მოგვაყენებს ფართო მასშტაბით, რადგან საერთაშორისო დონეზე ჩვენი მომხრე და მოძმე, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ჩვენი სიმართლეა და, პირიქით, ჩვენი შეცდომების „მხარდამჭერთა“ სიმრავლე ნამდვილად არ გვაკლია...

ასე რომ, დაველოდოთ კვალიფიციური ექსპერტების, აკადემიური მეცნიერების საბოლოო დასკვნებს. ხოლო მთავარი დასკვნა, რაც ამ დროისათვის მეცნიერებამ უკვე შემოგვთავაზა, უმნიშვნელოვანესია ქართველთა ისტორიის თვალსაზრისით: სრული უფლება გვაქვს ცივილიზაციის (წიგნიერი კულტურის!) ათვლა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოს შუაგულში, ძვ. წ. X საუკუნით დავიწყოთ!..

ავთანდილ არაბული,
აკადემიკოსი;

გურამ ლორთქიფანიძე,
მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

სამშენებლო სექტორისთვის ყიდვა-გაყიდვის და საბაზრო ფასების კვლევა

დღეს, 8 თებერვალს, 12:00 საათზე, „ტექნოპარკში“ ინოვაციების სააგენტოს პროგრამა — „ბიზნეს ინკუბატორის“ ერთ-ერთი გამარჯვებული სტარტაპის, ახალი ინოვაციური ვებ-გვერდის — www.construct.ge-ს პრეზენტაცია გაიმართება.

www.construct.ge „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“, შპს „ვისეილისა“ და შპს „მოდულატორის“ ერთობლივი ინოვაციური პროექტია, რომლის მიზანია სამშენებლო პროდუქციის ყიდვა/გაყიდვის და საბაზრო ფასების კვლევის სისტემების შექმნა სამშენებლო სექტორისთვის.

ვებ-გვერდი დახმარებას გაუწევს: მწარმოებელ, სამშენებლო, საპროექტო, საექსპერტო კომპანიებს ნებისმიერი საკითხის გასამარტივებლად, კერძოდ: პლატფორმის საშუალებით კომპანიები მოახდენენ:

სხვადასხვა სამშენებლო მასალის საბითუმო ყიდვა-გაყიდვას და ამ პროცესის სრულ ავტომატიზაციას;

შემსყიდველების, ქართველი და უცხოელი მწარმოებლების თუ დისტრიბუტორების და მათი პროდუქციის ერთიანი კატალოგის შექმნას;

ფასების ინდექსაციას სატენდერო თუ სხვა ხარჯთაღრიცხვის შედგენისას.

კომპანიებს მიეცემათ საშუალება, თავისუფლად მოხვდნენ construct.ge-ს ბაზაში, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს როგორც მათი პროდუქციის პოპულარიზაციას, ასევე, ზოგადად, ბაზრის სტაბილიზაციას, გაფართოვებას, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და, რაც მთავარია, გაამარტივებს სამუშაო პროცესს არაერთი კომპანისა თუ იურიდიული პირისათვის.

2016 წელს არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამებით 784 პირმა ისარგებლა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ განრიდების პროგრამების 2016 წლის ანგარიშს აქვეყნებს. ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 21 წელს მიუღწეველი 784 პირი განერიდა. ამათგან, 462 არასრულწლოვანია, ხოლო — 322 სრულწლოვანი. შარშან მედიაცია 287 პირის მიმართ გამოიყენეს და 222 მედიაციის კონფერენცია შედგა. ანგარიშში ასახული მონაცემები 2016 წლის 1 იანვრიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებისა და 2014 წელს, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ინიციატივით დაწყებული განრიდების პროგრამის რეფორმის შედეგია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, განრიდების მაჩვენებლები რაოდენობის მხრივ უპრეცედენტოა. შედარებისთვის, 2015 წელს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 297 არასრულწლოვანი, ხოლო 2014 წელს 204 არასრულწლოვანი განერიდა.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 21 წელს მიუღწეველი პირისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე და დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება, გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა მართლშეგნების ხელშეწყობის, პირის რესოციალიზაციისა და დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით.



მთავარი ქართული ტელევიზია „გვირაბში ვერ ეტევა“...

ორი სიტყვა საზოგადოებრივ მაუწყებელზე

უკვე თითქმის ხუთი წელიწადია, არ წყდება დავა-კამათი ოდესღაც ჩვენი სიამაყე პირველი ქართული სატელევიზიო არხის, აწ უკვე „საზოგადოებრივად“ ქცეული ტელე-რადიომაუწყებლის როლსა და ადგილზე თანამედროვე ქართველ საზოგადოებაში.

ვინაიდან გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, მისი არსებობის მიზანშეწონილობაზე საუბარი, ალბათ, არ ღირს. თუმცა, გავბედავ და ერთს მაინც ვიტყვი — საზოგადოებრივი მაუწყებლობა არის ეკონომიკურად ძლიერი სამართლებრივი სახელმწიფოს ატრიბუტი, მოკლედ, ფუფუნების საგანი. ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფი (ღარიბი და სამართლებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ გაუმართავი) ქვეყნისთვის — ხიდი ნანატრი საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე.

იმის დავიწყებაც არ ღირს, რომ „პირველი არხი“, როგორც ქართული მასმედიის თითქმის ყველა სერიოზული სუბიექტი, მეტ-ნაკლებად მონოპოლიზებული იყო არსებული ხელისუფლებების მიერ. აღარაფერს ვამბობ სააკაშვილის ხელისუფლებაზე, რომელმაც ქართული ტელემედია (მისი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი!) საკუთარ ჰარამხანად აქცია.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისი არსით მკვეთრად განსხვავდება კერძო ტელევიზიებისაგან — იგი უნდა გამოხატავდეს და ემსახურებოდეს მთლიანად სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესებს; უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო და შემეცნებითი ფუნქცია და მოიცავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. ეს გახლავთ ურთულესი პრობლემა, რომლის გადაჭრა სახელმწიფოს პოლიტიკური ნების, უაღრესად კვალიფიციური კადრების, ულტრათანამედროვე ტექნიკის, მართვის ასევე ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებისა და დიდი ფულის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ამ კომპონენტის არსებობის შემთხვევაშიც, მაუწყებლის მაღალი რეიტინგი საზოგადოებაში გარანტირებული სულაც არ არის.

ორიოდე თვის წინათ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი თანამდებობიდან გადადგა. ვაკანსიაზე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვა ვასილ მაღლაფერიძემ — ფილოლოგიის დოქტორმა, მაღალი კვალიფიკაციის ჟურნალისტმა მართვის უნიკალური გამოცდილებით.

ახალ დირექტორს მემკვიდრეობად ერგო მთლიანად ამორტიზებული შენობა; დიდი ხანია, მწყობრიდან გამოსული, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ტექნიკა; განადგურების პირას მისული უნიკალური არქივი; არარსებული რეგიონული ოფისები; 1, 85-პროცენტიანი რეიტინგი; 102 გადაცემა მაუწყებლის სატელევიზიო და რადიობადეში; 1100 თანამშრომელი; კადრების მომზადება-გადამზადების აუცილებლობა; ტექნიკური კოლაფსის რეალური საშიშროება და 40-მილიონიანი ბიუჯეტი.

თანამდებობაზე არჩევიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, 2017 წლის 6 თებერვალს ახალმა გენერალურმა დირექტორმა დაანონსებული პრესკონფერენცია გამართა. ბუნებრივია, ინტერესი ძალიან დიდი იყო — ციცქნა საკონფერენციო დარბაზში ნემსიც ვერ ჩავარდებოდა.

ბატონმა ვასილ მაღლაფერიძემ, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორატის სხვა წევრებმა ვიზუალური დოკუმენტური მასალების მოშველიებით დაწვრილებით ისაუბრეს შექმნილ ვითარებაზე და მისი დაძლევის გზებზე. ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არ იყო ერთადერთი და საბოლოო გადაწყვეტილება; ეს იყო გამოსავლის ერთ-ერთი ვერსია და სიამოვნებით მიიღებენ და განიხილავენ ყველა გონივრულ წინადადებას.

ძალიან მოკლედ, კრიზისიდან გამოსავლის მაღლაფერიძისეული ვერსია ასე გამოიყურება:

1. მაუწყებლის ყველა გადაცემის შეჩერება საინფორმაციოების გარდა;

2. თანამშრომელთა რაოდენობის ოპტიმიზაცია;

3. მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება;

4. მაუწყებლის ყველა სეგმენტში კონკურენციის პრინციპზე გადასვლა.

ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის აქ საკამათო და მიუღებელი არაფერი უნდა იყოს. სხვანაირად, სერიოზული რეფორმების გატარება ყოვლად შეუძლებელია. თუმცა, ასეა იმ ადამიანებისათვის, ვინც მოვლენებს გარედან

აკვირდება და რეფორმების „სუსხი“ პირადად მას და მის ოჯახს არ შეეხება. საქმე ის გახლავთ, რომ მაუწყებლობის გადაცემების შეჩერებაც, თანამშრომელთა ოპტიმიზაციაც, კონკურენციის პრინციპების დანერგვაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ასეულობით თანამშრომლის დროებით თუ სამუდამოდ უმუშევრად დატოვებას ნიშნავს. მართალია, ბატონმა მაღლაფერიძემ ბევრჯერ გაიმეორა, რომ კადრების შემცირებას არ აპირებს, მაგრამ ადრე თუ გვიან იგი იძულებული იქნება არსებული კადრები უფრო მაღალკვალიფიციურით ჩაანაცვლოს, რაც უკვე დღეს სერიოზული ვნებათაღელვის საგანია. მეორე მხრივ, რადიკალური და მტკივნეული გადაწყვეტილებების მიუღებლად ასეთი სერიოზული საქმეები არ კეთდება.

აქედან გამომდინარე, ახალ დირექტორს ხვალ, შესაძლოა, იმდენი მოკრიტიკე გამოუჩნდეს, იმდენი ცოდვა გაუმჟღავნდეს, თვით ბალთაზარ კოსას რომ შეშურდება! მთავარია, თვითონაც გაუძლოს და ხელისუფლებამ არ დაიჯეროს.

ვასილ მაღლაფერიძის თქმით, 2017-2019 წლებში ახალ შენობაზე, არქივის გაშიფვრაზე (საარქივო მასალების ციფრულ მატარებლებზე გადაყვანა), ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაიარაღებაზე დაახლოებით 45 მილიონი ლარი დაიხარჯება. არ ვიცი, საიდან მოვიდა ეს ციფრი, მაგრამ, ჩემი აზრით, 45 მილიონი ლარი, ანუ დაახლოებით 16,5 მილიონი დოლარი ამ საქმეს ნამდვილად არ ეყოფა. დეტალური, რეალური და დასაბუთებული გაანგარიშების შემდეგ, იმედია, ქართველი ბიზნესმენები, კომერციული ბანკები, ყველა, ვისთვისაც ქართული სახელმწიფოებრიობა ძვირფასია, ხელს გამოიღებენ და ქვეყანას ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარებაში დაეხმარებიან.

წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, რეფორმების დაწყებიდან პირველი 18 თვის განმავლობაში უნდა გადაიჭრას ახალი შენობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და ცხრა რეგიონული ოფისის შესყიდვა-აღჭურვის პრობლემები; 2019 წლის ივლისამდე შეიქმნას ახალი სამაუწყებლო ბადე; ამავე წლის ბოლომდე დაინერგოს მართვის ახალი მოდელი.

საბოლოოდ, წარმოდგენილი სამწლიანი გეგმის შედეგი დაახლოებით ასეთი იქნება:

1. საზმაუს ახალი შენობა, მისი აღჭურვა და სამუშაო პირობების შექმნა;

2. ცხრა რეგიონული ოფისის შეძენა და აღჭურვა;

3. მულტიმედიური საინფორმაციო სამსახური;

4. სრული ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება;

5. თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი ვებგვერდი;

6. არქივის გაშიფვრა;

7. მართვის ახალი მოდელის დამკვიდრება.

ორიოდე სიტყვით ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ციფრულ მულტიმედიურ მაუწყებლობაზე გადასვლა არსებული რედაქციების ნაცვლად სპეციფიკური ტელეარხების სისტემის შემოღებას ნიშნავს. მაგალითად, სამეცნიერო-პოპულარული, პოლიტიკური, სპორტული, საბავშვო, გასართობი არხები და ა.შ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ეს არის ძალიან რთული, ძალიან მტკივნეული პროცესი, სჭირდება სერიოზული დაფინანსება (რაც ჩვენნაირი ქვეყნისთვის ძალიან პრობლემატური საკითხია), მაგრამ ეს არის აუცილებელი.

ერთი „პატარა“ ნიუანსი — დირექტორატის და შემდეგ სამეურვეო საბჭოს პრესკონფერენცია ტელევიზიასთან შეკრებილი უცნაური საზოგადოების პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა. პროტესტანტები (სულ 12-15 ადამიანი თავის ორგანიზატორებიანად) საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელისუფლების დიქტატისგან გათავისუფლებას ითხოვდნენ! ერთ-ერთი ორგანიზატორი ქალბატონის თქმით, ესენი ე. წ. მეანაბრეები იყვნენ.

იმ საზოგადოებიდან, ყველაფერს რომ პოლიტიკას უკავშირებენ, უკვე გაისმის ხმები, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეორგანიზაცია არის ბიძინა ივანიშვილის მორიგი ინსინუაცია ამ ტელევიზიის ხელში ჩასაგდებად.

ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ეს ისეთი სისულელეა, თვით „მატარებელი გვირაბში არ გაეტევა!“ და „არიქა, ბიძინამ ხე გადარგო!“ იდეების ავტორს რომ არ ეკადრება. თუ ხელისუფლებას (კი ბატონო, ბიძინა ივანიშვილს) საზოგადოებრივი მაუწყებლის განადგურება უნდა, მაშინ იგი რეორგანიზაციაზე კი არ იფიქრებს, უბრალოდ, არაფერს გააკეთებს და ეს ტელევიზია ხვალ აღარ იარსებებს. და კიდევ, ვინმე ხომ ვერ მეტყვის, რაში სჭირდება ბიძინა ივანიშვილს 1100-კაციანი დანგრეულ-გაპარტახებული ტელეარხი?

სერიოზული მსჯელობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ავ-კარგიანობასა და მისი რეორგანიზაციის თაობაზე მხოლოდ ახლა იწყება. დარწმუნებული ვარ, ბევრი ჭკვიანური და სასარგებლო მოსაზრებაც ითქმება. ეს მხოლოდ სასიკეთოდ თუ წაადგება ჩვენს, ხალხის ტელეკომპანიასაც და ქვეყანასაც.

თეიმურაზ ქორიძე

საგადასახადო სამართალდარღვევის 670 ფაქტი გამოვლინდა!

30 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 670 ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 5,407 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 70 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 65 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 535 შემთხვევა.

თბილისის პარკებს ვანდალები შეესივნენ

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მოვლა-პატრონობაში არსებულ ბაღებსა და პარკებში ვანდალურად დაზიანებულია და მოპარულია სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები. კერძოდ, ვაკის პარკში, ვერის და ვასო გოძიაშვილის სახელობის ბაღებში მოპარულია 27 ძირი „ტუია“, დაზიანებულია — 484 ძირი „კვიდო“ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი რამდენიმე ნაგავშემკრები კონტეინერი. აღნიშნულთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ფაქტი დაფიქსირებულია და მიმდინარეობს გამოძიება.

სლოვენიიდან 10 ჟურნალისტი გვეწვია

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმი-

ნისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს სლოვენიიდან 10 ჟურნალისტი ეწვია, მათ შორის ყველაზე მაღალრეიტინგული არხების — სახელმწიფო ტელერადიო კომპანია „არ-ტი-ვი“ სლოვენიასა და კერძო ტელეკომპანიის „პოპტივი“-ს ჟურნალისტები. გარდა ამისა, პრესტურის ფარგლებში საქართველოში იმყოფებიან ღვინისა და კულინარიის თემებზე მომუშავე ბეჭდური მედიის წარმომადგენლები. სლოვენიელი ჟურნალისტების საქართველოში ვიზიტის შედეგად მომზადდება სატელევიზო რეპორტაჟები და სტატიები, რომლებიც საქართველოს ცნობადობის გაზრდას და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ტურის მონაწილეებმა მოინახულეს სიღნაღი, ყვარელი, ანანური, გუდაური, ყაზბეგი, თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უცხოელ ჟურნალისტებს სოფელ ჩარდახში, იაგოს მარანში შეხვდა.

ვინ დააყენებს ქვეყანასა და ერს სწორ გზაზე?

დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში ისეთ საკითხებზე იმართება რეფერენდუმები და ისე ხშირად, რომ შეიძლება გაგვეღიმოს კიდეც; ჩვენთან კი მართლა სასიცოცხლო, საქვეყნო მნიშვნელობის საკითხებზე ერთი რეფერენდუმის ჩატარებასაც ვერა და ვერ მივაღწიეთ!

რეფერენდუმებს ვინ დაეძებს, ერთ კინკილა რეფერენდუმსაც ვერ ვეღირსეთ წამლად ვერც ნაცების და ვერც ქოცების ხელში, ვერც ჩვენ მივაღწიეთ პროტესტებით და ხელმოწერებით და არც იმათ გადმოგვიგდეს სამადლოდ! 26 წლის განმავლობაში საქართველოში რეფერენდუმი მხოლოდ ორჯერ დაინიშნა.

პირველად ეს მოხდა 1991 წლის 31 მარტს – პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ ჩატარებულ ამ უმნიშვნელოვანეს რეფერენდუმზე კითხვა ასეთნაირად იყო ფორმულირებული: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?“. საბჭოთა კავშირის პირობებში (მისი დაშლა მხოლოდ ცხრა თვის შემდეგ, დეკემბერში გამოცხადდა) რეფერენდუმის კითხვა შინაარსობრივად იგივე იყო, რაც: „თანახმა ხართ თუ არა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლის?“. თუ არ ჩავთვლით ამ რეფერენდუმს, რომელმაც საქართველოს მთელი ტერიტორია მოიცვა (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით), დამოუკიდებელ საქართველოში რეფერენდუმი მხოლოდ ერთხელ, 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარდა – იგი შევარდნაძემ მოაწყო (პრეზიდენტობიდან იძულებით გადადგომამდე სამი კვირით ადრე), თანაც ისეთ „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან“ საკითხზე, როგორიცაა პარლამენტის რაოდენობრივი შემადგენლობა. კითხვა იყო: „გსურთ თუ არა საქართველოს პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირება 235-დან 150-მდე?“. ისე შეეკითხნენ მოსახლეობას საკუთარი ნების გამოხატვას, თითქოს, ამ კითხვაზე გაცემულ პასუხს, რომელიც ისედაც კარგად იყო ცნობილი, ჩვენი მომავალი ცხოვრების შეცვლა შეეძლო (პარლამენტად წოდებული სალაყბოს წევრების 100–მდე შემცირებასაც კი მოსახლეობა სიამოვნებით დაუჭერს დღესაც მხარს!). შევარდნაძე რის შევარდნაძე იქნებოდა, ასეთი „სარეფერენდუმო“ კითხვა რომ არ მოეფიქრებინა, ამომრჩეველთა მოთხოვნის საფუძველზე, ცხადია!

* * *

დღევანდელ საქართველოში ძალიან ბევრი ისეთი პრობლემაა დაგროვილი, რომელთა გადაჭრა ქოც-ნაცების შეხმატკბილებული პოლიტიკური პინგ-პონგის და ქვეყნის „სტრატეგიული მეგობარი“ მსაჯის (თან, მწვრთნელის!) პირობებში, მხოლოდ რეფერენდუმების გზით თუ მოხერხდება. მაგრამ, **<u>არც ერთ ხელისუფლებას არცერთი(!) საკითხის რეფერენდუმზე გატანა ცოცხალი თავით არ სურს.</u>** მიზეზი მარტივია: უპირველესად, შიში იმისა, რომ მოვლენილი მსაჯი ასეთ თავნებობას – უკითხავად რეფერენდუმის დანიშვნას არ აპატიებს (იცის, რომ არცერთი რეფერენდუმის შედეგი არ იქნება დასავლეთისთვის მისაღები!) და სულ ადვილად შეცვლის რეზერვში მყოფი სხვა პარტიით (რეზერვში და მზადყოფნაში კი, ჩვენდა სამწუხაროდ, არაერთი პარტიაა, დასავლეთში წვრთნაგავლილი, პოლიტიკაში და საქართველოს ისტორია-კულტურაში აბსოლუტურად ჩაუხედავი ახალგაზრდა კადრებით სათავეში!), რასაც, რაღა თქმა უნდა, ავტომატურად მოჰყვება უზრუნველი ცხოვრებასთან (ხელფას-დანამატ-პრემიებთან, ბიუჯეტის ხარჯზე საქმიან ვიზიტებად წოდებულ უთავბოლო ვოიაჟებთან, ბიზნესებში წილში ჩაჯდომასთან და ბევრ სხვა სიკეთესთან) და, რაც მთავარია, ხელშეუხებლობის(!) გარანტიებთან გამომშვიდობება! ეს რომელი გარანტიებია? აი ის, როცა გინდ ათეულობით მილიონი მიითვისო, გინდ ნარკოტიკები გაასაღო, გინდ კაცი დაჭრა ან მოკლა კიდეც, პასუხს არავინ მოგთხოვს; როცა, პირიქით, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი სისაძაგლის ჩამდენს თავად რომ შეგიძლია დაეხმარო – პასუხისგებაში არ მისცე ან უკვე დატუსაღებულს ბრალდების მუხლი შეუცვალო და შეიწყალო კიდეც!

<u>ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასასვლელად რეფერენდუმი ყოფილა საჭირო, მაგრამ „ნატოში“ გაწევრებისთვის, თურმე, ცხრა წლის წინათ ჩატარებული პლებისციტიც კმარა!</u> და ამაში ურცხვად გვარწმუნებენ დეპუტატ-მინისტრები და პრემიერ-პრეზიდენტიც. ურცხვად იმიტომ, რომ მათ შესანიშნავად იციან (მოსახლეობის დიდი ნაწილისგან განსხვავებით), თუ რა პრინციპული განსხვავებაა რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის, რომ **<u>რეფერენდუმის შედეგების შესრულება ხელისუფლებისთვის სავალდებულოა, პლებისციტის კი – მხოლოდ ცნობად მისაღები.</u>** ურცხვად კიდევ იმიტომ, რომ მათ ისიც შესანიშნავად იციან, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტიც ისევე გაყალბდა, როგორც თავად არჩევნები და, რომ „ნატოში“ გაწევრების მომხრე არ ყოფილა ოფიციალურად გაცხადებული 77 %! მას შემდეგ სულ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე დაგვარწმუნონ, თითქოსდა, საქართველოს მოსახლეობა დღესაც იმ ჭკუაზეა, როგორზედაც იგი 14-15 წლის წინათ იყო, როცა ამერიკანატოს მართლა იმედის თვალით შევყურებდით ყველანი. ისეთი სახელგატეხილი, მაგრამ მაინც ხელშეუხებელი(!) საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმატორი ორგანიზაცია, როგორიცაა ამერიკული ენ-დი-აი (ტრამპის მიერ დამარცხებული დემოკრატიული პარტიის მიერ დაფინანსებული ინსტიტუტი), ისიც კი ვერ ბედავს 2008 წლის შემდეგ თავის გამოკითხვებში 61 %-ზე მეტი დაუწეროს „ნატოში“ გაწევრების მომხრეებს. ამის საპირისპიროდ, სხვადასხვა სატელევიზიო არხების მიერ ჩატარებულ ლამის ყოველკვირეულ გამოკითხვებში, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მომხრეების გასწვრივ სისტემატურად იწერება 80-90 % და მეტიც! სასაცილოა და თან მრავლისმეტყველი (არხის პოზიციის მიმანიშნებელი!) ის, რომ ზოგიერთი ტელეწამყვანი ამ შედეგების ხმამაღლა გამოცხადებას, მოკლე კომენტარის გაკეთებასაც ვერ ბედავს და გადაცემას, როგორც წესი, ძალიან ცივად და უკმაყოფილო სახით შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „გამოკითხვის შედეგებს თქვენ ეკრანზე ხედავთ“, ან ამასაც არ ამბობს, თითქოსდა, გამოკითხვა არც კი ჩატარებულა. ასე იქცევა, მაგალითად, ქ-ნი მაგდა ანიკაშვილი, „მაესტროს“ გადაცემა „ცეცხლის ხაზის“ წამყვანი.

დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში ისეთ საკითხებზე იმართება რეფერენდუმები და ისე ხშირად, რომ შეიძლება გაგვეღიმოს კიდეც; ჩვენთან კი, მართლა სასიცოცხლო, საქვეყნო მნიშვნელობის საკითხებზე ერთი რეფერენდუმის ჩატარებასაც ვერა და ვერ მივაღწიეთ! რომელი ერთი ასეთი საკითხი ჩამოვთვალო: „ნატოში“ გაწევრება, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, მიწა-წყლის, ტყეების, წიაღისეულის, სასმელი წყლის, სტრატეგიული ობიექტების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვა, გიგანტური ჰესების მშენებლობისგან თავის შეკავება, უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭების გამკაცრება, უცხოეთში წასული ქართველებისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის გაუქმება, ცილისწამებისთვის და ეკლესია-პატრიარქის შეურაცხყოფისთვის პასუხისგება, გინება-ბილწსიტყვაობის აკრძალვა ტელევიზიაში, პრესაში, კინოსა და თეატრში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის და საარჩევნო ბარიერის გაუქმება, დანაშაულში ეჭვმიტანილი და ვისზედაც მოქალაქეთა საჩივრებია შესული, იმ მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების პროფესიული საქმიანობიდან ჩამოშორება მანამდე, სანამ განაჩენი არ დადგება, არასამთავრობო ორგანიზაციების (ასო-ების) საქმიანობის, დაფინანსების წყაროების და ფინანსების ხარჯვის მიზანშეწონილობის შესწავლა, ბანკების მევახშური მადის დაოკება, დეპუტატების გამოწვევის გამარტივებული წესის მიღება, დაპირებების არშემსრულებელი ხელისუფლების გადარჩევის, ხელახალი არჩევნების დანიშვნის პროცედურის გამარტივება თუ გნებავთ, ოჯახის ცნების განსაზღვრა რომლის გადაწყვეტასაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება წინასაარჩევნოდ გვპირდებოდა, თანაც, პარლამენტის პირველსავე სხდომაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ბევრი მათგანი ჩვენს საგინებელ სამეზობლო რუსეთში კარგა ხნის წინ მოიხსნა დღის წესრიგიდან შესაბამისი კანონების ძალით (ყოველგვარი რეფერენდუმების გარეშე!), მაგრამ ჩვენ განა გვეკადრება ოკუპანტი რუსეთის კანონების გადმოღება, რაც არ უნდა მისაღები და სასარგებლო იყოს ისინი? ეს ხომ სამშობლოს ღალატი იძნება, რას იტყვის ამერიკა!

* * *

ეს რაც რეფერენდუმებს შეეხება, ახლა კი ჩვენზე, ანუ იმაზე ვთქვათ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ – ხელები ჩამოვუშვათ და ოთხი წელი ველოდოთ 2020 წლის არჩევნებს იმ იმედით, რომ ეგებ გაგვიმართლოს და უკეთესი ხელისუფლება გვეღირსოს? თუ ტრამპის იმედზე ვიყოთ? გამორიცხული არ არის, რომ ტრამპის მიერ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკას მართლაც მოჰყვეს ზოგიერთი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების (პირველ რიგში, ალბათ, ლგბტ-ის დამცველი) დაფინანსების შემცირება ან სრული შეწყვეტაც, მაგრამ თავადაც თუ ხელი არ გავანძრიეთ და მხოლოდ ლაპარაკით, თუნდაც, სიმართლის ლაპარაკით ვიფხანეთ გული (ენაც), არაფერი გვეშველება, მთელმა ერმა მუხლი რომ მოიყაროს და 24 საათი ილოცოს, მაღალი ღმერთი მაინც არ მოგვხედავს, რადგანაც უფალი მხოლოდ იმათ ეხმარება, ვინც რაღაცას ცდილობს და ხელს(!) ანძრევს! ეს სენტენცია ყველას კარგად მოგვეხსენება და, თითქოს, არც ხელის განძრევა გვეზარება (უფრო სწორად, ცარიელი ხელების მაღლა აწევა ჩვენი მშვიდობიანი განზრახვების დასადასტურებლად), მაგრამ რეალური ძალა, მაინც ვერა და ვერ მოვიკრიბეთ. ვერ მოვიკრიბეთ, რადგანაც ასეთი ძალა მხოლოდ გაერთიანებულ ხელებშია, გამაერთიანებელი, **<u>ერთ მუშტად შემკვრელი კაცი კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს. ლიდერის, წინამძღოლის გარეშე კი წარმატებაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა.</u>** 21-ე საუკუნეში ხალხი ორჯერ შეიკრა – 2003-ში და 2012-ში, ორივეჯერ გამოკვეთილი ლიდერის წყალობით. ოღონდ, დღეს არც სააკაშვილის მსგავსი ლიდერი გვჭირდება (ღმერთმა დაგვიფაროს!), რომელმაც უკუღმა წაიყვანა ჩვენი საქმე, და არც – ივანიშვილისნაირი, რომელმაც სანახევროდაც არ შეასრულა დანაპირები და, რომელმაც უამრავ დანაშაულში მხილებული ნაცმოძრაობის გასამართლებას მასთან თანაარსებობა ამჯობინა (თავისი თუ სხვისი ნებით, ამას გაუბედურებული ხალხისთვის მნიშვნელობა არა აქვს!). მისგან **<u>დაპირებული „ძალიან კარგი“ მეოთხე წელიც გავიდა და დღეს, კიდევ ერთი „ძალიან კარგის“ – საქართველოდან ევროპაში ადვილად გასაქცევი ვიზალიბერალიზაციის მოლოდინში ვართ!</u>** თუმღაცა ჯერ არ ამოქმედებულა, მაგრამ ვიზალიბერალიზაციის მონიჭების საკითხი 2 თებერვალს უკვე გადაწყდა.

<u>ჩვენ გვჭირდება ისეთი ლიდერი, რომელსაც გონებგამჭრიახობასთან და პატიოსნებასთან ერთად ექნება თავისი ერის სიყვარული და, რაღა თქმა უნდა, სამშობლოს ინტერესების დასაცავი საკმარისი გამბედაობაც.</u> მხოლოდ ყველა ამ თვისებით შემკული ადამიანი შეძლებს ქვეყნის ფეხზე დაყენებას! ჰყვანან საქართველოს ასეთი შვილები? შეუძლებელია, რომ არ ჰყავდნენ! მაგრამ, როდის გამოჩნდება, ანუ როდის შემოვა ერთ-ერთი მათგანი პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის თავზე აიღებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც სახელმწიფოს გაძღოლა ჰქვია, ძნელი სათქმელია. ადვილი სათქმელი კი ის არის, რომ ასეთ ადამიანს ყველანაირად შეუშლიან ხელს დასავლეთიდან დაფინანსებული პიარტექნოლოგები და მედიის წარმომადგენლები, რომლებსაც

ჩვენ გვჭირდება ისეთი ლიდერი, რომელსაც გონებგამჭრიახობასთან და პატიოსნებასთან ერთად ექნება თავისი ერის სიყვარული და, რაღა თქმა უნდა, სამშობლოს ინტერესების დასაცავი საკმარისი გამბედაობაც. მხოლოდ ყველა ამ თვისებით შემკული ადამიანი შეძლებს ქვეყნის ფეხზე დაყენებას! ჰყვანან საქართველოს ასეთი შვილები? შეუძლებელია, რომ არ ჰყავდნენ!

ᲜᲣ ᲓᲐᲕᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲠᲐᲥᲚᲔᲛᲘᲡ ᲞᲝᲖᲐᲨᲘ

ᲛᲔ-20 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ საქართველოში ინტენსიური ურბანიზაცია მიმდინარეობდა. ქვეყნის ხელმძღვანელობის „შორსმჭვრეტელური“ სტრატეგიული პოლიტიკით სოფლები იცლებოდა და მოსახლეობას იძულებით ქალაქებში ასახლებდნენ. ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო ქართული სოფელი განადგურების პირასაა მისული. ნანგრევები დარჩა უძველესი ისტორიული სოფლების ადგილას. ბევრგან ქართულ ნასოფლარზე სხვა ეთნოსის ხალხი დასახლდა.

1926 წ. სოფლად ცხოვრობდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 77,8 %, ხოლო 1979 წ. – მხოლოდ 48%. დღეისათვის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ტრაგედიების გამო, ქართული სოფელი უფრო მეტად დაიცალა.

სოფელი იყო და არის ერის გამრავლების ძირითადი წყარო. სოფლად დემოგრაფიული სიტუაცია უკეთესია ერისათვის, ვიდრე ქალაქად. ჟან-ჟაკ რუსო წერდა: „ქალაქი უფსკრულია ადამიანთა მოდგმისათვის, რამდენიმე თაობის შემდეგ მოდგმა გადაგვარდება. საჭიროა მისი განახლება და ამ განახლების წყარო სოფელია მუდამ“. ნიჭიერი და მრავალჭირგამოვლილი ებრაელი ხალხის მაგალითიც იკმარებს – ძლიერი სახელმწიფოს შენება სოფლის ტიპის დასახლებების შექმნით დაიწყეს. ცნობილი მეცნიერი პაატა გუგუშვილი თავის „დემოგრაფიულ ნარკვევებში“ აღნიშნავს, რომ 1926 წ. ამიერკავკასიაში ქართველები აღემატებოდნენ სომხებს 253 ათასით, აზერბაიჯანელებს 108 ათასით, ხოლო 1979 წელს, ე.ი. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართველებზე მეტი იყვნენ სომხები 621 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები – 1946 ათასით, ქართველები ამ სამი ნაციის საერთო რაოდენობის 35,7 %-ს შეადგენდნენ 1926 წელს, ხოლო 1979 წელს კი 27%-ს.

დღეისათვის გრძელდება ქართული სოფლებიდან მოსახლეობის გადინება, სათანადო პირობების უქონლობის გამო ახალგაზრდობა სოფელს ტოვებს.

მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ტემპი სოფლად ბევრად მაღალია, ვიდრე ქალაქში. მნიშვნელოვანი მატება მოსახლეობისა აქვს ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილიც სოფლად ცხოვრობს. პაატა გუგუშვილი „დემოგრაფიულ ნარკვევებში“ გვაძლევს, შესწავლის შედეგების ანალიზს... 2021 წელს უზბეკები დაეწევიან უკრაინელებს, ხოლო 2069 წელს – რუსებს. უზბეკთა რაოდენობა 259 მილიონი იქნება, ხოლო რუსებისა – 258 მილიონი. უზბეკების ყოველწლიური მატება 2,73 %-ია, ტაჯიკებისა – 2,95%, რუსებისა კი მხოლოდ – 1%. შესწავლის ამ მონაცემებს განაპირობებს ის, რომ სოფლის მოსახლეობა ქვეყნის საერთო მოსახლეობასთან შედარებით პროცენტულად უზბეკებს ბევრად მეტი ჰყავდათ, ვიდრე რუსებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში: თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი საქართველოზე 2-3 ჯერ მეტია, რაც მომავალში საქართველოს კიდევ უფრო მეტ ტერიტორიულ პრობლემებს შეუქმნის. დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება მხოლოდ ქართული ისტორიული სოფლის აღდგენით შეიძლება, და არა მაღალმთიანი სოფლების აღდგენით (რასაც მთავრობა გეგმავს), როდესაც ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონები იქ ჩასახლებულმა ქართულმა სოფლებმა დაგვნარჩუნა, შირაქის ველი კი ვაჟა-ფშაველას ინიციატივით ჩამოსახლებულმა სოფელმა; ქართული ისტორიული მხარე – კამბეჩოვანი აზერბაიჯანს გადაეცა, რადგანაც იქ ქართული სოფლები აღარ იყო. შედეგად, მიმდებარე დავით-გარეჯის მონასტრის ტერიტორია სადავო გახდა.

უარესია მოსალოდნელი არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს სამხრეთ რაიონებში. სამხრეთიდან საქართველოში შვიდი გზა შემოდის და მათზე პირველი სოფლები არაქართულია. მაგალითად, წითელი ხიდიდან თბილისისკენ მომავალ გზაზე ოთხი სოფელი თურქულენოვანი ბორჩალუს, ელისა და თარაქამას ტომებითაა დასახლებული, რომლებიც დღეს რატომღაც აზერბაიჯანელებად ითვლებიან. მათი რაოდენობა ინტენსიურად იზრდება, როგორც ბუნებრივი მატებით ასევე ჩვენი ნებართვის გარეშე შემოსული არაქართველებით. ამას წინათ კიდევ ერთხელ ვიხილე მრევლშემოლეული, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი ბოლნისის სიონის ბაზილიკა, ირგვლივ კომპაქტურად დასახლებული არაქართველი მოსახლეობით, რომელთგანაც არც ერთმა არ იცის ქართული. ანალოგიური სიტუაციაა გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, მარნეულის რაიონებში. ბევრგან ქართულ ისტორიულ ძეგლებზე ქართული წარწერები წაშალეს.

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ყველა ღონეს ხმარობს, რომ მოსახლეობა ფლობდეს სახელმწიფო ენას. 1917 წელს აშშ კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ქვეყნის ტერიტორიაზე არ დაიშვებოდა ადამიანი, რომელმაც მინიმუმ 80 ინგლისური სიტყვა არ იცოდა.

1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად თბილისი განადგურდა და მრევლშემოლეულ ქართულ სალოცავებს სომხები დაეპატრონნენ, კლდისუბანში ვახტანგ გორგასლისეული ეკლესიის ადგილას მოგვიანებით აშენებულ ბეთლემის ტაძარს ფეთხაინი დაარქვეს, ხოლო იქვე მეორე ტაძარს – მოღნინი. წმინდა გიორგის სახელობის ნარიყალას ციხის ქვედა დიდ საყდარს-სურფ-გევორქი უწოდეს.

ჯავახეთში გვიან ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობა ერევნიდან მოვლენილმა მისიონერებმა დაარწმუნეს, რომ ჯავახეთი არის სომხეთის ისტორიული პროვინცია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე: ბრწყინვალე კუმურდოს ტაძარზე, ჰუჯაბის მონასტერზე, იხტილას(ღრტილას) ეკლესიაზე და ბევრ სხვაგან იქ მცხოვრებმა სომხებმა ძეგლების რესტავრაციაზე არ დაუშვეს ჩვენი სპეციალისტები, იმ მოტივით, „რომ ქართველებს სომხურ ტერიტორიაზე მდებარე სომხურ ძეგლებზე არც მუშაობის და არც გადაღების უფლება არ აქვთ?!“ (ფრაგმენტი რესტავრატორთა მოხსენებითი ბარათიდან).

ჩვენი ბედოვლათობა კვლავ გრძელდება. ულამაზეს დალის ხეობას ზემო აფხაზეთი დავარქვით, სამაჩაბლოს – სამხრეთ ოსეთი, ჯავახეთს კი, უჩვენოდ, ჩრდილოეთ არმენიას დაარქმევენ და მერე გვიან იქნება მუშტების ქნევა.

ჩვენ ილიას „ქვათა ღაღადმაც“ ვერ გვასწავლა ჭკუა და კიდევ ერთხელ ვიმკით ჩვენი შეცდომების ნაყოფს.

წარმოვიდგინოთ ერთი წამით, ჩვენი ახდენილი ოცნება – ერთიანი ტერიტორიებდაბრუნებული საქართველო. მაგრამ თუ დემოგრაფიული სიტუაცია არ გამოსწორდა დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველის სამშობლოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით და ინდიელებივით რეზერვაციებში მიგვიჩენენ ადგილს.

საგანგაშო დემოგრაფიულ სურათს იძლევა ენციკლოპედია: საქართველოს მოსახლეობა 1940 წლიდან 1976 წლამდე გაიზარდა 33%-ით. მატება მოხდა ძირითადად არაქართული მოსახლეობის ხარჯზე. ამავე პერიოდში აზერბაიჯანის მოსახლეობა გაიზარდა 74%, ხოლო სომხეთისა – 130%-ით, მატება მთლიანად მოხდა აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობისა.

ე. ი 2065 წლისათვის ქართველები ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები ვიქნებით და ურთიერთდაპირისპირებას გადაყოლილი ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

და თუ ასე გაგრძელდა, საქართველო მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე დარჩება როგორც მედეასა და ოქროს საწმისის ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოში აღიარებული 3 დამწერლობა შექმნა, რომლის კავკასიონზეც პრომეთე იყო მიჯაჭვული, რომლის საოცარი პოლიფონიური სიმღერებიც კოსმოსში იჟღერებს.

ცხრილი მაინც შელამაზებული გამოდის, რადგანაც მასში არ არის ასახული არაბთა, ჩინელთა, ინდოელთა და სხვათა შემოდინება, რომელთა რაოდენობა პერმანენტულად იზრდება, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს დემოგრაფიულ სურათს.

გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგნოზით 2050 წლისათვის საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება !!! ჩვენ კი რას ველოდებით? მარტო ლოცვა არ გვიშველის, თუ ხელი არ გამოვიღეთ.

1995 წელს იუნესკომ შემოგვთავაზა პროექტი „იბერია“, რომლის განხორციელებითაც დაინტერესებული იყო იუნესკო და ესპანეთი და რომელიც გვთავაზობდა ტურიზმის განვითარებას, პროფესიული განათლების ცენტრების აშენებას, ქართველი სპეციალისტების მომზადებას. საქართველო ხდებოდა იუნესკოს ქვეყანა-ლაბორატორია. დიდი მოცულობის პროექტს მთლიანად აფინანსებდნენ იუნესკო და ესპანეთი. ქართული მხარის უნიათობის გამო პროექტი არ განხორციელდა, რაც უდიდესი შეცდომა იყო.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲙᲣᲭᲐᲕᲐ,
პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ძეგლთა დაცვის სამეცნიერო, სარესტავრაციო, საწარმოო გაერთიანების ყოფილი უფროსი.

P. S. ᲓᲐᲣᲜᲔᲓᲝᲑᲔᲚᲘ და პრაგმატული 21-ე საუკუნე დროის სასწორზე დებს ჩვენთვის ყველაზე დიდ ფასეულობას – ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს.

დროული, სწორად წარმართული, დაძაბული მუშაობით ქართველ ხალხს ჯერ კიდევ შეუძლია ქვეყნის გამანადგურებელი დემოგრაფიული კატასტროფის აცილება.

პრობლემა ეხება სრულიად საქართველოს, პოზიციას და ოპოზიციას, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, ყველას, ყველას, ყველას !

ნუ დავდგებით სირაქლემის პოზაში!

მერე იქნება გვიან! იუნესკოს ქვეყანა-ლაბორატორიაში 2008 წელს რუსული ტანკები, ალბათ, არ შევიდოდა.

Ნ. Კ.

სწორედ პატიოსანი მამულიშვილების დისკრედიტაციისთვის უხდიან ფულს. არის ერთი საშიშროებაც – ისევე, როგორც აქამდე, <u>პიარის სპეციალისტებს ახლაც შეუძლიათ ოსტატურად შემოგვაჩეჩონ რიგითი (ან არარიგითი, მაგრამ სულგაყიდული) ადამიანი ლიდერად, რომელიც ისევ ამჟამინდელი კურსის გამტარებელი იქნება, მაგრამ ამას მხოლოდ მისი არჩევის შემდეგ მივხვდებით</u>.

* * *

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ საარჩევნო სისტემის და ტოტალური გაყალბების პირობებში, როდესაც ერთი საარჩევნო უბნის ხმების გადათვლის ნებას არ იძლევა არც საარჩევნო კომისია და არც სასამართლო, ისეთი ადამიანის გამარჯვება, როგორიც ქვეყანას სჭირდება, პრაქტიკულად, შეუძლებელი ჩანს! მაგრამ, სანამ ფარ-ხმალს დავყრიდეთ, უნდა გავითვალისწინოთ სამიოდე თვის წინ ჩატარებული ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები და ტრამპის მოულოდნელი გამარჯვება. ოფიციალურად ცნობილია, რომ კლინტონმა 2.9 მილიონით მეტი ამომრჩევლის ხმა მიიღო, ვიდრე ტრამპმა, მაგრამ ამერიკის საარჩევნო წესის თავისებურების გამო ტრამპმა ე.წ. ამრჩევთა კოლეგიაში („ელექტორალ კოლეჯ“-ში) უფრო მეტი ხმა დააგროვა – 306 ხმა კლინტონის 232-ის წინააღმდეგ, რამაც განაპირობა მისი გამარჯვება. ამერიკული არჩევნები ყოველთვის მიგვაჩნდა სანიმუშო დემოკრატიულ არჩევნებად, სადაც ყოველგვარი გაყალბება, ამომრჩეველთა სიების გაბერვა, მკვდარი სულები, ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა და „კარუსელები“ გამორიცხულია, წარმოუდგენელია! ასე გვეგონა, მაგრამ სულ ახლახან, 29 იანვარს შეერთებული შტატების ნაციონალურმა საზოგადოებრივმა რადიომ (NPR) სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: ცნობილი კვლევითი ორგანიზაციის (Pew Research Center) მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ **<u>კლინტონისთვის მიცემული ხმებიდან (ანუ 65 მილიონიდან) 25 მილიონი არის სრულიად გაყალბებული!</u>** რომ კლინტონმა სახალხო ხმის მიცემით („პოპულარ ვოუტ“) კი არ მოუგო ტრამპს, არამედ დიდი სხვაობით წააგო! ამ 25 მილიონიდან 800 000 ხმა მან მიიღო ამერიკის მოქალაქეობის არმქონე პირებისგან, ანუ ვისაც არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო 1.8 მილიონი კი – „მკვდარი სულებისგან“, ანუ ამომრჩევლად დარეგისტრირებული გარდაცვლილი ადამიანებისგან! 24 მილიონამდე რეგისტრაცია იყო ვადაგასული და არაზუსტი, სამი მილიონი ამომრჩეველი კი დარეგისტრირებული იყო ერთზე მეტ შტატში! აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ 232 ხმიდან 177(!) კლინტონმა მიიღო იმ შტატებში, სადაც პირადობის მოწმობას არ თხოულობენ და, სადაც არაკეთილსინდისიერ ან მოსყიდულ ამომრჩეველს რამდენიმეჯერ შეეძლო ხმის მიცემა! საინტერესო ფაქტი გამომჟღავნდა აგრეთვე, როდესაც კლინტონის მომხრეებმა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სამი შტატის (მიჩიგანის, პენსილვანიის და ვისკონსინის) ხმების გადათვლა მოითხოვეს. „თაგვმა თხარა, თხარაო...“ და, ზუსტად ისე გამოვიდა – გაირკვა, რომ პენსილვანიაში 34 000 ხმა ტრამპისთვის დაუკლიათ, მიჩიგანში კი კლინტონის სასარგებლოდ დასტა-დასტად უბეჭდო ბიულეტენები ჩაუყრიათ, ხოლო ქალაქ დეტროიტში ერთ-ერთ ამომრჩეველს ექვსჯერ(!) მიუცია ხმა! **<u>ესეც შენი დემოკრატიული არჩევნები, თანაც სად – სანაქებო ამერიკაში!</u>**

არჩევნების ასეთი დაუჯერებელი გაყალბებების მიუხედავად, მიუხედავად ტრამპის დისკრედიტაციის არაერთი მცდელობისა, მის წინააღმდეგ ამხედრებული პოლიტიკური და ფინანსური ელიტის, ტელევიზია-პრესის და სრულიად ჰოლივუდის დაპირისპირებისა, მიუხედავად ამ ელიტის მიერ წახალისებულ-დაფინანსებული ტრამპის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლებისა (ძირითადად, ლათინოსების, მუსლიმანების და ლგბტ თემის), რაც დღესაც გრძელდება (უპრეცედენტო მოვლენა ამერიკის ისტორიაში!), მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა მსოფლიოში, გაიმარჯვა ტრამპმა!

ასე რომ, მიუხედავად ხელშემშლელი მიზეზებისა, ყველანაირი წინააღმდეგობის დაძლევა შესაძლებელია. ბრძოლას, ბოლომდე ბრძოლას, მით უფრო მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა ამოგიდგება მხარში, ყოველთვის აქვს აზრი!

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲭᲐᲕᲐ

ერთი კითხვა რჩება მხოლოდ პასუხგაუცემელი: როდის გამოჩნდება კაცი, რომელიც სათავეში ჩაუდგება და სწორ გზაზე დააყენებს ერს!

ბათუმში, შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე განცხადებას ავრცელებს, სადაც ავტორიზაციის გაუქმების მიზეზებს განმარტავს.

„შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ირგვლივ საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ აღნიშნულ სკოლა-ლიცეუმს, 5 წლის ვადით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 4 სექტემბრის №38 გადაწყვეტილებით მიენიჭა.

სწორედ საბჭოს სხდომაზე, დაწესებულებას განემარტა, რომ სკოლას არ ჰქონდა უფლება ქართულენოვანი სექტორის პარალელურად, სწავლება განეხორციელებინა თურქულენოვან სექტორზე, რადგან თურქულენოვანი სექტორი არ ფუნქციონირებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სკოლას ის უნდა გაეუქმებინა.

გეგმური მონიტორინგის ფარგლებში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფების ვიზიტები, სკოლა-ლიცეუმში 2016 წლის 3, 4 და 5 ნოემბერს და 2017 წლის 20, 21 და 22 იანვარს განხორციელდა. მათი დასკვნით კი დადგინდა, რომ სკოლის დირექტორის 2015 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებით, ავტომატურ რეჟიმში განხორციელდა თურქულენოვანი სექტორიდან, უცხო ქვეყნის 82 მოქალაქის გადაყვანა ქართულენოვან პარალელურ კლასებში. თუმცა, გადაყვანილი პირების პირადი საქმეების შესწავლით გაირკვა, რომ გადაყვანამდე არ მომხდარა არც მათი განათლების აღიარება და არც ექსტერნის წესით, მათი მზაობის დადგენა ზოგადი განათლების ცალკეულ კლასებში სწავლებისათვის.

სკოლის ამგვარი ქმედებით დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა. შეიზღუდა სექტორიდან სექტორზე გადაყვანილ პირთა ზოგადი განათლების მიღების უფლება, რადგან ქართულენოვან სექტორზე მათი გადაყვანა მოხდა ისე, რომ კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა მათი არც ენობრივი და არც საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება. შედეგად, ქართული ენის არცოდნის გამო, მოსწავლეები ვერ ითვისებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ცხადდებოდნენ სკოლაში, რაც დასტურდება სასკოლო ჟურნალებით. მეტიც, გარკვეული რაოდენობის მოსწავლეთა ადგილსამყოფელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სკოლისთვის უცნობი იყო და მისი დადგენა ვერ მოხდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს. ამის მიუხედავად, აღნიშნული პირები მოსწავლის აქტიური სტატუსით სარგებლობდნენ და მათზე წლების განმავლობაში გაიცემოდა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც რეალურად, არ მოხმარდა ზოგადი განათლების მიზნებს.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის თანახმად, სკოლის მხრიდან კანონდარღვევის ტენდენცია გაგრძელდა 2016-2017 სასწავლო წლებშიც, როდესაც სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით.

ამ და ყველა სხვა დარღვევის შესახებ დეტალური ინფორმაცია დაფიქსირებული იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება“, – ნათქვამია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცნობისათვის: სკოლის დირექტორი ელგუჯა დავითაძე ავტორიზაციის გაუქმებას პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს და აცხადებს, რომ „შაჰინის სახელობის სკოლეგზე შეტევა თურქული პოლიტიკის ნაწილია“.



„თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში არაფერი ხდება ისეთი, რის გამოც აღელვება ღირდეს“

ამერიკის შეერთებული შტატების რადიო „თავისუფალი ევროპა – თავისუფლების“ ქართულმა რედაქციამ (პროგრამა „წითელი ზონა“) გამოაქვეყნა ექსკლუზიური ინტერვიუს სრული ვიდეოჩანაწერი თურქეთის ელჩთან საქართველოში ზეკი ლევენთ გუმრუქჩუსთან, რომელსაც გიორგი გვახარია უძღვებოდა.

ელჩმა ისაუბრა დღევანდელი თურქეთის საშინაო პოლიტიკაზე, ევროკავშირსა და ნატოსთან დამოკიდებულებაზე... მისი თქმით, თურქეთი დიდი ხანია მიილტვის ევროპისაკენ, ნატოს წევრ ქვეყნებთან არავითარი პრობლემები არ არსებობს, მაგრამ არის გაურკვევლობა ევროკავშირთან. ევროპელი ლიდერები თურქეთს დემოკრატიის პრინციპების დარღვევებს საყვედურობენ, ხშირადაა ანტითურქული კრიტიკული სტატიები ევროპულ პრესაში, ევროკავშირის ლიდერების განცხადებებში. არადა, ეს ყველაფერი სინამდვილეს არ შეეესაბამება, ევროპული პრესა არასწორად აშუქებს თურქულ რეალობას...

ზეკი გუმრუქჩუმ აღნიშნა, რომ თურქეთსაც აქვს ევროპისადმი პრეტენზიები, რადგან ევროპელები დაპირებებს არ ასრულებენ, ისინი ბევრ საკითხში რეალობას არასწორად აღიქვამენ, მაგალითად, დემოკრატიის დაცვის სფეროში. თურქეთში დამოუკიდებელი სასამართლო მოქმედებს და თუ რომელიმე ჟურნალისტს აპატიმრებენ და ციხეში გზავნიან, მას პროფესიულობისთვის კი არ სჯიან, არამედ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის, მაგალითად, ტერორიზმის პროპაგანდისათვის.

თურქეთში ისლამიზმის „გაძლიერების“ შესახებ შეკითხვის პასუხად ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი სეკულარული სახელმწიფოა (ანუ მთავრობა და რელიგია ერთმანეთისაგან ცალკე არსებობენ). რაც შეეხება მუსტაფა ქემალის იდეებს, მისი მოძღვრება თურქეთისათვის წმიდათა წმინდაა. „მუსტაფა ქემალი თურქებს უფალმა გამოუგზავნა. მის იდეებს არავინ ეხება, უბრალოდ, მიმდინარეობს დისკუსია სხვადასხვა საკითხზე“. სასკოლო სახელმძღვანელოებში მუსტაფა ქემალის შესახებ შეტანილი ცვლილებები პრინციპული არაა, უბრალოდ, „თუ ადრე მის ყოველდღიურ ცხოვრებას სწავლობდნენ, ახლა უფრო მეტი ყურადღება ანალიტიკურ ხედვებს ეთმობა...“.

რაც შეეხება კითხვებს და პასუხებს საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თაობაზე, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ინტერვიუს სტენოგრამას:

გიორგი გვახარია: 1990-იან წლებში საქართველოში თურქეთს „ევროპულ ფანჯარას“ უწოდებდნენ, რადგანაც ქართველებმა ევროპაში მოგზაურობა სტამბოლის გავლით დაიწყეს და მარტო ევროპაში კი არა, მთელ მსოფლიოშიც. შეიცვალა თუ არა რამე სამხედრო გადატრიალების (მცდელობის) შემდეგ? პრინციპში ესაა ის მთავარი კითხვა, რომელიც მინდა დაგისვათ.

ზეკი ლევენთ გუმრუქჩუ: სულაც არ შეცვლილა. ვფიქრობ, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა ყოველდღიურად მყარდება და ძლიერდება. გასული წლის 19 ივლისს გადატრიალების მცდელობის შემდეგ პრემიერ-მინისტრი, ბატონი კვირიკაშვილი, პირველი სახელმწიფო მეთაური იყო, რომელიც ჩამოვიდა და მხარდაჭერა გამოუხატა თურქეთის მთავრობასა და ხალხს. ამას ჩვენ არ ვივიწყებთ და დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ჩვენი ურთიერთობა უფრო მყარი და უფრო ღრმა, უფრო მტკიცეა. ფაქტობრივად, ეს ვიზიტი იყო პირველი შეხვედრა უმაღლესი სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში. ჩვენ არა მხოლოდ სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და ძალას არ დავიშურებთ საიმისოდ, რომ ეს ინტეგრაცია წარმატებით დასრულდეს – ეს იქნება ნატოში გაწევრება, რომლის წევრები ჩვენც ვართ თუ ევროკავშირთან ინტეგრაცია. ამ თვალსაზრისით, ჩვენ საქართველოს მუდამ მხარდაჭერას ვუცხადებთ, მომავალი წევრობის პერსპექტივის გათვალისწინებით. მზად ვართ გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება, ვითანამშრომლოთ საქართველოსთან. თურქეთი გახლავთ არა მხოლოდ ფიზიკური ხიდი ევროპასა და საქართველოს შორის, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკურიც.

გიორგი გვახარია: მე ვიცი, რომ ქართულ-თურქულ ურთიერთობას ნამდვილად არაფერი ემუქრება, მაგრამ მე ვთქვი ის, რომ „ფანჯარა ევროპაში“ იყო-მეთქი და ამაში პირველ რიგში ევროპისა და დასავლეთის თურქეთთან ურთიერთობა ვიგულისხმე...

ზეკი ლევენთ გუმრუქჩუ: მე კი საქართველოთი დავიწყე...

გიორგი გვახარია: კი, ბატონო, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობას ინტერვიუს ბოლოში დავუბრუნდებით... საერთოდ, ქართველმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა ხდება საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში, მაგრამ არიციან, თვით თურქეთში რა ხდება. მე მგონი დამეთანხმებით, რომ საზოგადოებას ინფორმაცია ცოტა აქვს. ეს, ალბათ, მედიის ბრალიც არის.

(...)

გიორგი გვახარია: ჩვენ სულ სამი წუთი დაგვრჩა და არ შეიძლება, რომ არ დავამთავროთ ქართულ-თურქული ურთიერთობებით. თქვენ იცით, ალბათ, რომ არჩევნების წინ საქართველოს ზოგიერთი ნაციონალისტური პარტია და, პირდაპირ შეიძლება ითქვას – ქსენოფობიური პოლიტიკური ძალები საუბრობდნენ თურქეთის ისლამიზაციაზე და საშიშროებაზე, რომ ისლამიზაცია, ასე ვთქვათ, გადმოვა საქართველოს საზღვრებზეო. მე მინდა, რომ ამ ხალხს უპასუხოთ...

ზეკი ლევენთ გუმრუქჩუ: სამწუხაროდ, ჩვენ ამის მოწმენი ვართ. საბედნიეროდ, ბრძენი ქართველი ხალხი ასეთ იდეებს ყურადღებას არ უთმობს – ის, ხალხი, ვისაც საღი აზრი აქვს. თურქეთში ისლამიზაცია არ მიმდინარეობს, ეს არის სეკულარული დემოკრატიული ქვეყანა, აგებული და დამყარებული კანონის უზენაესობაზე და ამას საქართველოშიც ყველა ხედავს. ასევე ყველა დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა მეტად მყარ საფუძველზე დგას. ეს ზეპოლიტიკური რამ არის. ვინც უნდა მოვიდეს საქართველოს თუ თურქეთის ხელისუფლებაში, ორივე გააგრძელებს მეზობლობას, მეგობრობას და სტრატეგიულ პარტნიორობას. ჩვენ მრავალი საკითხი გვაერთიანებს ჩვენი ღირებულებების, კულტურის და სტრატეგიული პროექტების თვალსაზრისით, როგორიც არის ენერგეტიკა, სატრანსპორტო საკითხები. ჩვენ ვერავის ვერ მივცემთ იმის საშუალებას, რომ სადღაც აღმოვჩნდეთ და ვფიქრობ, ეს ქართველ ხალხსაც ესმის, ქართველი ხალხი ამას აცნობიერებს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ თქვენს წინაშე, რომ არაფერი ხდება ისეთი, რის გამოც აღელვება ღირდეს.

რაც შეეხება ძირითად ორიენტირებს, ძირითად ღირებულებებს და უფლებებს და ისევ და ისევ რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს: ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას მაქსიმალური საშუალებებით, ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ეკონომიკური ზრდის საკითხებში. 2007 წლიდან თურქეთი საქართველოს პირველი პარტნიორი იყო, ახლა კანადამ გაგვასწრო სამედიცინო იმპორტის ხარჯზე, მაგრამ თურქეთი მაინც ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორია. თურქი ინვესტორები ყველგან აბანდებენ თანხებს, ყველა სექტორში. ეს მართლაც ჩვენი ურთიერთობის უნიკალური მახასიათებელი ნიშნებია. თურქები და ქართველები არა მხოლოდ უვიზოდ, არამედ უპასპორტოდაც კვეთენ ერთმანეთის საზღვარს. ეს არის სიმწიფისა და ნდობის დონე ორ ქვეყანას შორის. ეს გაგრძელდება. ამას ვადასტურებ, როგორც სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში“.

ტურიზმის სტატისტიკა დამაკმაყოფილებელია, მთავარია, შევინარჩუნოთ ზრდის ტემპი!

საქართველოს ტურიზმი, როგორც ცნობილია, სეზონურია და ტურისტთა საკმაოდ დიდი ნაწილი ზამთრის კურორტებზე დასასვენებლად ჩამოდის. ტურიზმის სამსახური ავრცელებს 2017 წლის იანვრის სტატისტიკას, რომლის თანახმადაც, ტურისტთა რაოდენობა საქართველოში იზრდება:

2017 წლის იანვრის თვის მონაცემებით, საქართველოს 387,070 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 63,911-ით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +19.8 %-ია).

იანვრის თვის მაჩვენებლებით, +32.4% ით არის გაზრდილი იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების, რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაყვეს საქართველოში. მათმა რაოდენობამ 154,083 შეადგინა.

2017 წლის იანვარში ყველაზე მეტი ვიზიტი სამეზობლოდან - აზერბაიჯანიდან (+7.1%), თურქეთიდან (-0.8 %), სომხეთიდან (+31.4 %), რუსეთიდან (+40.3 %) და უკრაინიდან (+28.2 %) — განხორციელდა.

როგორც ტურიზმის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარში გამოირჩეოდნენ: ლიტვა +47%, ბულგარეთი +32 %, გერმანია +32 %, პოლონეთი +25 % და გაერთიანებული სამეფო +23 %.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ირანი +617 %, უზბეკეთი +231 %, ინდოეთი +158 %, ისრაელი +83 % , ჩინეთი +78 %, ყაზახეთი +32 %, ბელარუსი 25 %. ეს ზრდა, ცხადია, იმითაც არის განპირობებული, რომ გასულ წლებში საავიზო შეზღუდვების გამო, რომელიც ხელისუფლებამ 2012 წლის შემდეგ მიიღო, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ტურისტთა რაოდენობა შედარებით შემცირებული იყო.

პარალელურად, სტატისტიკის ეროვნული სამსახური აჯამებს გასული წლის მაჩვენებლებს: 2016 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 817 მილიონ დოლარს (ზრდა +10.1), რაც 75 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის სტატისტიკა ზრდადია და მისი წილი მშპ-ში, დაახლოებით, სოფლის მეურნეობის წილის ხელაა, სადაც, როგორც ცნობილია, მოსახლეობის 45 პროცენტზე მეტია დასაქმებული. შესაბამისად, ტურიზმს საქართველოში აშკარად აქვს პოტენციალი და ამ პოტენციალის სწორი გამოყენება უახლოესი წლების მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება.

ნინო ევგენიძე

ქართული ქვევრის ღვინო ევროპას იპყრობს

ქვევრის ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია საფრანგეთის ქალაქებში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ფრანგ ღვინის პროფესიონალებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ და დეგემოვნებინათ ექვსი ქართული ბუნებრივი ღვინოების მწარმოებელი კომპანიის ღვინოები: „ნიკოლაძეების მარანი“, „ანთაძის მარანი“, „ხოხბის ცრემლები“, „ოქრო ღვინო“, „იაგოს ღვინო“ და „კორტავების მარანი“.

ქვევრის ღვინო წარდგენილი იყო ტულუზაში და ლიონში გამართულ სპეციალიზირებულ დეგუსტაციებზე, ხოლო ანჟესა (Les Penitentes) და სომურში (La Dive Bouteille) — ტრადიციულ გამოფენებზე, სადაც ქართული ღვინის კომპანიები უკვე მეექვსედ მონაწილეობდნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** აცხადებს, რომ საფრანგეთში მონაწილეობა ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას და პოპულარიზაციას არა მხოლოდ ამ ქვეყანაში.

„ქვევრის ღვინო საქართველოდან ყველა მიმართულებით გადის, თუმცა ის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ღვინის ტრადიციულ მომხმარებელ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მთლიან ექსპორტში ქვევრის ღვინის წილი დიდი არაა, ეს მაინც გამორჩეული ღვინოა და მას ყველა იცნობს, ვინც იცის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა და ისტორია. ქვევრის ღვინო ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათია, იმისთვის რომ ქართული ღვინო უფრო ცნობადი გახდეს. საფრანგეთში ღვინის წარდგენით ქვევრის ღვინო ცნობილი ხდება ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ბაზარზე“ — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ქართველი მეღვინეები აცხადებენ, რომ გასულ წლებში ზემოთ აღნიშნულმა გამოფენებმა და სხვადასხვა დეგუსტაციებმა მათ მნიშვნელოვანი იმპორტიორები შესძინა.

როგორც გამოფენის მონაწილე საქართველოდან, მეღვინე **იაგო ბიტარიშვილი** აღნიშნავს, ტრადიციულად ქვევრის ღვინის მიმართ ინტერესი წლევანდელ გამოფენებზეც დიდი იყო.

იაგო ბიტარიშვილის თქმით, გამოფენაზე მისულმა სტუმრებმა საფრანგეთიდან, აშშ-დან, ავსტრალიიდან და სხვა ქვეყნებიდან, ქართული ღვინის მიმართ ინტერესიდან გამომდინარე, სურვილი გამოთქვეს საქართველოს ეწვიონ „ახალი ღვინის ფესტივალზე“, რომელიც თბილისში მიმდინარე წლის მაისში გაიმართება.

მსოფლიოს სხვადასხვა გამოფენაში მონაწილეობით იზრდება ქართული ღვინის ცნობადობა და პოპულარიზაცია, რაც შესაბამისად ექსპორტისა და საექსპორტო ბაზრების ზრდას იწვევს. მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში როგორიც საფრანგეთია, 2016 წელს საქართველოდან 36 ათასამდე ბოთლი ღვინო იყო იმპორტირებული, 2017 წლის იანვარში კი უკვე 13 ათას ბოთლამდე.

◎ ჯანმრთელობა

რა საფრთხეს გვიქმნის მაღალი წნევა?

„წნევას“ სამედიცინო ენაზე „არტერიული ჰიპერტენზია“ ჰქვია. მაღალი წნევა თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას და როგორ მკურნალობენ მას?

გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკის თერაპიული და კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შალვა პეტრიაშვილი.

— ბატონო შალვა, როგორია არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების არეალი?

— სისხლძარღვთა სისტემაში სისხლი ხვდება გულის შეკუმშვის — სისტოლის შედეგად. სისტოლის დროს სისხლი მსხვილი არტერიების კედელს გარკვეული ძალით აწვება, რაც სისტოლურ-არტერიულ წნევას ქმნის. გულის მოდუნების — დისტოლის დროს სისხლის ნაკადი მცირდება, რაც შეესაბამება დიასტოლურ არტერიულ წნევას. არტერიული ჰიპერტენზია სისხლის მიმოქცევის სისტემაში არტერიული წნევის ხანგრძლივი და მყარი მატებაა. ეს არის ქრონიკული, მსოფლიოში ძალზე გავრცელებული დაავადება, რომელიც ნაადრევი ინვალიდობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია, განსაკუთრებით — განვითარებულ ქვეყნებში. ამ დაავადებით შეპყრობილია მსოფლიოს მოსახლეობის 60%.

— არტერიული ჰიპერტენზიის რა ფორმები არსებობს?

— არტერიული ჰიპერტენზია შეიძლება გამომჟღავნდეს, როგორც პირველადი და როგორც სხვა დაავადების სიმპტომი. პირველ შემთხვევაში მას უწოდებენ ესენციურ ჰიპერტენზიას, ხოლო მეორე შემთხვევაში — სიმპტომურ ჰიპერტენზიას. გართულების განვითარების თვალსაზრისით ორივე ფორმა ერთნაირად საყურადღებოა.

— ბატონო შალვა, არტერიული წნევის რომელი ციფრები ითვლება ნორმალურად და რომელი — მომატებულად?

— არტერიული წნევის დონე 140-90 მმ და მეტი ითვლება მომატებულ არტერიულ წნევად. ამ დონეზე ნაკლები მაჩვენებელი ითვლება ნორმალურად. სასურველია, არტერიული წნევის მაჩვენებელი შაქრიანი დიაბეტის დროს იყოს 130-85-ზე, ხოლო თირკმლების უკმარისობის დროს — 125-80-ზე.

— რა გართულებებია მოსალოდნელი არტერიული ჰიპერტენზიის დროს?

— პირველ რიგში, აღსანიშნავია ჰიპერტენზიული კრიზი — სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის მკვეთრი მატება, რასაც თან ახლავს თავის ტკივილი, თავბრუხვევა, გულისრევა, ღებინება, აღგზნებადობა, გულის ფრიალი, კანკალი. ხშირი კრიზი ამძიმებს არტერიული ჰიპერტენზიის მიმდინარეობას და იწვევს იმ ორგანოების დაზიანების დაჩქარებასა და დამძიმებას, რომლებიც არჩევითად ზიანდება არტერიული ჰიპერტენზიის უსიმპტომოდ მიმდინარეობის დროსაც (ე.წ. სამიზნე ორგანოები). ეს ორგანოებია: გ უ ლ ი, რომლის გადაძაბვა არტერიული ჰიპერტენზიის ფონზე იწვევს მისი მასის მომატებას — ჰიპერტეოფიას, რაც აღრმავებს გულის რიტმის დარღვევის, გულის უკმარისობის განვითარების შანსს. უარესდება გულის კუნთის სისხლით მომარაგება, კორონარებში გროვდება ქოლესტერინული დანალექები, მათი სანათური ვიწროვდება — ვითარდება გულის იშემიური დაავადება, რომელიც ვლინდება სტენოკარდიული შეტევით. შეიძლება განვითარდეს მიოკარდიუმის ინფარქტი; თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ ი, რომელშიც ვითარდება სისხლის მიმოქცევის მოშლა. თ ი რ კ მ ლ ე ბ ი — ვითარდება თირკმლების უკმარისობა.

— რა მეთოდები არსებობს არტერიული ჰიპერტენზიის წინააღმდეგ საბრძოლველად და რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს მკურნალობა?

— არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილება შესაძლებელია ჯანსაღი ცხოვრების წესით. საჭიროა ფიზიკური აქტივობა, უარის თქმა თამბაქოს, ალკოჰოლის ჭარბ გამოყენებაზე, სუფრის მარილის, ცხოველური ცხიმის შეზღუდვა, სტრესული სიტუაციებისთვის თავის არიდება. მედიკამენტური მკურნალობა შესაძლებელია ერთი პრეპარატით. უფრო ხშირად საჭირო ხდება პრეპარატთა კომბინაცია. პრეპარატი შერჩეული უნდა იყოს ექიმის მიერ.

— რომელ პრეპარატს უნდა მიენიჭოს უპირატესობა არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ?

— არტერიული წნევის მომატებას შეიძლება ჰქონდეს მრავალი მიზეზი და მიმდინარეობდეს სხვადასხვაგვარი კლინიკური გამოვლინებით. ამიტომ პრეპარატის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად — მიზეზის, დაავადების მიმდინარეობისა და პაციენტის მდგომარეობის გათვალიწინებით, პრეპარატი უნდა იყოს ეფექტური, უნდა ახდენდეს არტერიული წნევის 24-საათიან კონტროლს, დადებითად უნდა მოქმედებდეს დაავადების პროგნოზზე, მინიმუმამდე უნდა ამჟღავნებდეს გვერდით მოვლენებს. ამ მოთხოვნებს, გარკვეულწილად, აკმაყოფილებს ფიქსირებულდოზიანი კომბინაციები, ანუ პრეპარატები, რომლებშიც ორი, ჰიპერტენზიის განვითარების სხვადასხვა მექანიზმზე მოქმედი მედიკამენტია შერწყმული, ეფექტურობა კი გამოწვეულია იმით, რომ ადგილი აქვს ე.წ. სინერგიზმის ფენომენს, მაშინ როცა ორი პრეპარატის ცალ-ცალკე გამოყენება გაცილებით მაღალ დოზებს მოითხოვს.

— რა თვისებით უნდა ხასიათდებოდეს იდეალური ანტიჰიპერტენზიული პრეპარატი?

— იდეალური ანტიჰიპერტენზიული პრეპარატი უნდა ახდენდეს არტერიული წნევის 24-საათიან კონტროლს, სამიზნე ორგანოების (გული, თავის ტვინი, თირკმლები) საიმედო დაცვას გართულებებისაგან (ინფარქტი, ინსულტი, თირკმლების უკმარისობა), უნდა ჰქონდეს დოზირების მარტივი რეჟიმი, მინიმალური გვერდითი მოვლენები. პრეპარატი უნდა დაინიშნოს ექიმის მიერ და პაციენტი უნდა იმყოფებოდეს მისი მეთვალყურეობის ქვეშ, რათა პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებული რამე პრობლემა ყურადღების მიღმა არ დარჩეს.

ესაუბრა
ირინა ტატიშვილი

◎ ჩოგბურთი

გიორგი ცივაძე:
ქომაგები რომ არა, მეხუთე სეტს ვერ მოვიგებდი

უკვე გაუწყეთ, რომ თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ჩოგბურთელ ვაჟთა დევისის თასზე ევროაფრიკულ მეორე ზონაში საქართველოს ნაკრებმა ფინეთის გუნდს აჯობა. ამ მატჩში მასპინძლებს გამარჯვების ქულა გიორგი ცივაძემ მოუტანა, რომელმაც სტუმართა ლიდერი პატრიკ ნიკლას-სალმინენი დაძაბულ ორთაბრძოლაში დაამარცხა. ქართველ ჩოგბურთელს ანტალიაში საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ ვესაუბრეთ.

— გიორგი, მეორე სეტში სასწაულებრივად შემობრუნებული ხელის შემდეგ პაექრობის უბრალოდ დასრულება შეგეძლო. გმირობისკენ რამ გიბიძგა?

— (ეცინება). ფინელებთან ისეთი დაძაბული პაექრობა გვქონდა, რომ ბოლო ბურთამდე გაურკვეველი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. არავითარი გმირობა, უბრალოდ, მე მერგო ბედნიერება, სტუმართა ლიდერი დამემარცხებინა და საქართველოს ნაკრებისთვის მომგებიანი ქულა მომეტანა. პირველი სეტის მოგების შემდეგ დაძაბულობა მომეხსნა და ვერც კი წარმოვიდგენდი, მეორე ხელს ასე ცუდად თუ დავიწყებდი. როცა სალმინენი 5:2 დაწინაურდა, ხელი არ ჩამიქნევია და ბოლო ბურთამდე ბრძოლა გადავწყვიტე. ფინელმა ასპარეზობის პირველ დღეს არ ითამაშა — ტრავმა მოიმიზეზა, მე კი მანამდე ორჯერ გავედი კორტზე და საფარს მეტოქეზე უკეთ შევეჩვიე. ამას მაყურებელთა აქტიური ქომაგობაც დაერთო, მეტი შემართება ვიგრძენი, მეტოქემაც შემინწყო ხელი ზედიზედ ხუთი გეიმი მომეგო და 2:0 დავწინაურებულიყავი.

— მესამე სეტში წარმატების მისაღწევად ერთი გეიმის მოგებაღა გრჩებოდა...

— ფსიქოლოგიური მომენტია - რადგან 5:3-ს ვიგებდი, ეტყობა, საქმე უკვე მომთავრებულად მივიჩნიე და კინაღამ ყველაფერი წყალში ჩამეყარა. მესამე სეტის წაგების შემდეგ მეოთხეში მობილიზება ვერ შევძელი და ეს ხელი უბრძოლველად დავთმე. გადავწყვიტე, კორტზე იმ წუთებში არსებულ სიტუაციას გავცლოდი, გასახდელში შევედი და სახეზე ცივი წყალი შევისხი, რამაც გამომაფხიზლა. კორტზე სხვა ფიქრებითა და ემოციით დავბრუნდი. ამის მიუხედავად, მეხუთე სეტის დასაწყისში ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაღლილობა შემეტყო, მეტოქეს კი პირიქით — ყველაფერი გამოსდიოდა, რამაც გამაღიზიანა კიდეც და მარცხის პირას აღმოვჩნდი — 2:5-ს ვაგებდი. აქ გულშემატკივრების აქტიურმა ქომაგობამ მიშველა და ძალა შემმატა. მათი ასეთი ემოციური მხარდაჭერა რომ არა, მეხუთე სეტს ვერ მოვიგებდი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ამ გამარჯვებით ზონაში ადგილი შევინარჩუნეთ.

— წინ ლიტვაა...

— დიახ, 7-9 აპრილს „მზიურის“ კორტებზე ბალტიისპირელებს დავუპირისპირდებით. ისინი მეორე ზონაში, ფაქტობრივად, ფავორიტები არიან, მაგრამ მატჩის მოსაგებად არაფერს დავიშურებთ. მომავალი ორთაბრძოლებისთვის მოსამზადებლად ანტალიასა და ეგვიპტეში გავემგზავრები, სადაც 15 და 25-ათასიან ტურნირებში ვითამაშებ. ვეცდებით, ქომაგები კვლავაც გავახაროთ.

ლექსო ცინცაძე

◎ ადამიანი დროში

მრგვალ თარიღს გილოცავთ, ერის მოსიყვარულო კაცო!

დღეს, 8 თებერვალს, 80 წლის იუბილეს ვულოცავთ მაღალი ზნეობრივი თვისებებით დაჯილდოებულ მამულიშვილს, კაცურ კაცს, ეროვნული ფეხბურთის ჭეშმარიტად დიდ გულშემატკივარს, ფეხბურთზე 2 წიგნის ავტორს, ჩვენს ირაკლი (იბო) დოლიძეს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დედა უნივერსიტეტის თანამშრომელთა საყვარელ პიროვნებას.

უნივერსიტეტის საზოგადოებრივი კვების კომბინატის დირექტორი იყო. ამ ძნელ დარგს კეთილსინდისიერად ემსახურა 16 წელი. მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა კვებას. კომბინატის დირექტორის ადგილი გათავისუფლდა. უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა მამია დარჩიამ მრავალ სხვა კანდიდატთან ერთად იბო დოლიძის კანდიდატურა დაასახელა. ის უნივერსიტეტის რექტორს, ჩვენს დიდი მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ილია ვეკუას წარუდგინეს. მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: რაღა უცხო კაცი ვეძებოთ, ჩვენი სტუდენტია, მგონი, ამ ურთულეს დარგს თავს გაართმევსო...

ასეც მოხდა. ჩვენი იბო დირექტორად დაინიშნა და არ შევმცდარვართ არჩევანში. მან პირნათლად შეასრულა მისია.

ამ კეთილშობილ ადამიანს გულითა და სულით ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. ახლობლებში, მეგობრებში გახარებას, თავის დიდ ოჯახთან ერთად. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს ტრადიციული ქართული ოჯახის თავკაცს ირაკლი (იბო) დოლიძეს.

თსუ ადმინისტრაცია



◎ ჭიდაობა

კანდიდატები ყვარელში შეარჩიეს

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდა ფალავნებმა ყვარელში მოიყარეს თავი, სადაც ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ამ შეჯიბრებას უნდა დაესახელებინა საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გასამგზავრებელი ნაკრების დასაკომპლექტებლად. მედლებისთვის ბრძოლაში სხვადასხვა რეგიონის 200-ზე მეტი წარმომადგენელი ჩაება. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: გოგა ძიგუა (50 კგ, სამტრედია), თეიმურაზ ვანიშვილი (55, გორი), ედემი ბოლქვაძე (60, სამტრედია), მირზა სხულუხია (66, ქუთაისი) ნიკა კენჭაძე (74, ამბროლაური, ომც), ზაურ ბერაძე (84, ხარაგაული, ომც), გივი მაჭარაშვილი (96, მცხეთა), ზურაბ ურთაშვილი (120, მცხეთა, ომც).

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი 27 ივნისიდან 2 ივლისამდე დორტმუნდში ჩატარდება, მსოფლიოს პირველობას კი 1-6 აგვისტოს ფინური ტამპერე უმასპინძლებს.

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

პორტუგალიურ ოდიველასში დამთავრდა ძიუდოისტთა „ევროპის ღია თასი“, რომელშიც საქართველოს 17-კაციანმა გუნდმა ორი მედალი მოიპოვა: მეორე ადგილზე მძიმეწონოსანი ონისე ბუღაძე გავიდა, ბრინჯაოს მედალი კი ნოდარ ბერიანს (90) ხვდა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორი ქართველი იბრძოდა — 21 წლის ბოლნისელი ნოდარ ბერიანი და უშანგი მარგიანი. ბოლნისელმა ფალავანმა პირველ წრეში პორტუგალიელი ნოელ დელგადო დაამარცხა, შემდეგ მის გზას გაუყენა ფრანგი ლუდოვიკ გაბერი და ესპანელთა ქართველი იმედი ნიკოლოზ შერაზადიშვილი, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის და ევროპის ფინალისტია, მაგრამ ნახევარფინალში ჩვენებურმა ფრანგ აქსელ კლერჯესთან წააგო.

მარგიანმა ჯერ უკრაინელ ალექსანდრ კრიუკს სძლია იპონით, მერე დომინიკანელი რობერტ ფლორენტინოც დაჯაბნა, მეოთხედფინალი კი ფრანგ ალექსანდრ იდირთან დათმო. დამამშვიდებელში პორტუგალიელ გილერმე სალვადორს აჯობა. ასე რომ, ბრინჯაოს მედლისთვის ქართველები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს ორთაბრძოლა ბერიანმა მოიგო და პირველად გახდა უცხოური შეჯიბრების მედალოსანი.

ბუღაძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში არგენტინელ ჰექტორ კამპოსს სძლია, მერე ფრანგები — ნაბილ ზალაგი და მეთიუ ტორელი დაამარცხა, ხოლო ფინალი ბუღაძემ რუს ანტონ ბრაჩევთან წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

იუბილე ერთ დღეს და განსხვავება - 10 წელი

კატალონიის „ბარსელონას“ ფეხბურთელ ჟერარ პიკეს 2 თებერვალს 30 წელი შეუსრულდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მის მეუღლეს, კოლუმბიელ მომღერალ შაკირასაც იგივე დღეს აქვს იუბილე, თუმცა, პიკესგან განსხვავებით, მას 40 წელი შეუსრულდა — მათ შორის სხვაობა 10 წელია.

კოლუმბიელი და ესპანელი უკვე 7 წელია, ცოლქმარი არიან და მათ 2 შვილი — მილანი და საშა ჰყავთ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ არის იდეა!

პატივი ვცეთ ჩვენს ისტორიას!..

თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

მოგმართავთ კიდევ ერთხელ, **რათა დედაქალაქის გულში, გმირთა მოედანზე** დავით აღმაშენებლის 36-წლიანი მეფობისა და მოღვაწეობის აღსანიშნავად დაიდგას (სურათზე ნაჩვენები) 36 კიბის საფეხურიანი აღმაშენებლის მემორიალი ოქროს გვირგვინით (ოქროს გვირგვინის დადგმის ხარჯებს პირწმინდად გაიღებს ქვლივიძეების საგვარეულო). დაწყებული პირველი საფეხურით – 1089 წლიდან და დამთავრებული 1125 წლამდე გარდახდილი მოვლენების მინიშნებით.



მაგალითად:

წარწერა პირველ საფეხურზე – 1089 წელი. 16 წლის დავითის გამეფება და მისი უპირველესი დევიზი: „თავის თავს აუკრძალა, დატკბეს მეფური ცხოვრებით“.

მე-2 საფეხურზე – 1090 წელი: დაამკვიდრა მმართველობის სტილი „ღირსეულთა ამაღლებისა და უღირსთა დამდაბლებისა“.

მე-16 საფეხურზე – 1105 წელი: დავითმა დაიწყო და განამტკიცა რეფორმები.

25-ე საფეხურზე – თავისი ძლევამოსილი ლაშქრით გადალახა 3 მეტრი სიმაღლის თოვლით დაფარული ლიხის მთა.

32-ე საფეხურზე – 1121 წელი: დიდგორი. „ძლევაი საკვირველი“.

33-ე საფეხურზე – 1122 წელი: 400 წლის არაბების ტყვეობაში მყოფი თბილისის განთავისუფლება. და ა. შ.

დარწმუნებული ვარ, რომ 36-ვე საფეხური იქნება მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი ფეხის დადგმა გახდება არა მარტო ამაღელვებელი, სიხარულის მომგვრელი და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, მიმანიშნებელი, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის სტილი. ჩინებული იქნება, თუ პრეზიდენტმა, პრემიერმა და პარლამენტარებმაც ერთგულების ფიცი სწორედ აქ დადონ.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მემორიალის იდეას პრესაში გაჟღერებისთანავე მოჰყვა **გამოხმაურებები, ის გახდა თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის** („საქართველოს რესპუბლიკა“, 5-10.XII.2014 წ.), გამოითქვა თანხების გაღების სურვილიც კი, რამაც მისი დადგმის ღირებულებას გადააჭარბა.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოვადგენ კიდევ ერთ **ფრიად მნიშვნელოვან ინოვაციურ იდეას, რომლის დედააზრი დაჯაბნის დღემდე მსოფლიოში შექმნილ მემორიალებს,** გარშემორტყმულს იმავე გმირებით (რადგან მათი სახელები დღეს გმირთა მოედანზე ვერ იკითხება), დღეს არსებულზე უკეთესი მინიშნებით და გაბრწყინებით.

მემორიალი ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წინაპრებს, ჭარბ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რადგანაც მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტული და ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. მით უმეტეს, დიდი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს 8 თებერვალს ბევრს სურვილი ექნება, ეამბოროს მირონცხებულ მეფეს. **აქედან მიღებული თანხები კი მთლიანად მივმართოთ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, მათ კეთილდღეობას და მორალურ გამხნევებას.**

ამ გარემოებას თუ წესად ვაქცევთ, თაობებიდან თაობებს ცოცხლად გადაეცემა ჩვენი ნამოქმედარი. მოზარდების გულის ტკივილსაც შევამსუბუქებთ და მათ სულში გმირული სხივიც აკიაფდება, რადგან ეცოდინებათ, რომ გმირთაგმირი მეფის ნაღვაწის დათვალიერებით მოზიდული სახსრები მათ ზრდა-განვითარებას ხმარდება.

თამაზ ქვლივიძე

◎ დღესასწაული

წმიდა კეთილმსახური მეფე - დავით აღმაშენებელი

8 თებერვალს წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. 1089 წელს საქართველოს „ბედად მოევლინა განსწავლული, ღვთის მოშიში, ბრძნადმეტყველი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა – წმინდა დავით აღმაშენებელი.

ცნობილია, რომ ურჩი დიდებულების დათრგუნვის შემდეგ მეფე მიხვდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი მშვიდობისა და ერთობის დამყარება იყო ქვეყანაში.

დავით მეფემ თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიებს. მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღწერილია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ნიშანდობლივია ისიც რომ კეთილმსახურება მეფემ ქვეყნის შიდაპოლიტიკის რეფორმის და აღმშენებლობის შემდეგ თურქთაგან საქართველოს გაწმენდას მიჰყო ხელი.

ფაქტიურად დავით აღმაშენებელმა დიდგორთან ომის მოგების (1121 წ.), თბილისის აღების (1122 წ.), დმანისის შემოერთების შემდეგ მან საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

...უფალი ყოველთვის შეეწეოდა ღვთის მადიდებელ მეფეს, და ცხადია, გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა... ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის – გელათის მონასტრის მშენებლობა. მეფემ მონასტერს დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა. მისი მზრუნველი ხელი დაეტყო საქართველოს საზღვრებს გარეთ წმინდა ადგილებში მრავლად არსებულ ქართულ სავანეებს...

მწიგნობარი მეფე თავისუფალ დროს საღმრთო წერილის და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა.

დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, შეწყალება გამოთხოვა ღმერთს.

წმიდა კეთილმსახური მეფე დავითი ორმოცდაცამეტი წლის ასაკში აღესრულა.

გიული ლიპარტია

სანთელი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს ამავე აკადემიის წევრს, პროფესორ ზურაბ ცუცქირიძეს შვილის

ლევან ცუცქირიძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 8 II, 15 სთ, დაკრძალვა 9 II, 14 სთ, მისამართი: ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონი, მეორე კორპუსი, მე-7 სადარბაზო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ მეგობარსა და კოლეგას ზურაბ ცუცქირიძეს გარდაეცვალა ვაჟი

ლევან ცუცქირიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ამირან რაზმაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამირან რაზმაძე (პ/ნ 61001059868), ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15 (საკადასტრო კოდი: 05.10.08.024.01.500).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38740.89 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 8 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 22 თებერვალი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP40319716; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 403197

6. **მოვალე:** ალექსანდრე რაზმაძე (პ/ნ 61003003094), ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40319716; ლოტის ნომერი: 403197).

ნებისმიერ პირს, ვისაც გაჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 21 თებერვლის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება

2017 წლის 31 მარტს, 15:00 საათზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. №106), გაიმართება ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს სალექარი წყალსაცავის მოწყობის პროექტის „ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს სალექარი წყალსაცავის მოწყობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბექთაქარის მიმდებარედ“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს 27 300 მ³ მოცულობის წყალსაცავის მოწყობა.

– საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ოფისში, (მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1; სოფელი ბექთაქარი, ტელ: 599920051)

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №106)

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: ნინო გურამიშვილი 599920051

ადმინისტრაცია ვახტანგ აბაშმაძე

სიდნეი დაიტბორა

ხანგრძლივმა სეზონურმა წვიმამ ავსტრალიის ცენტრალურ რაიონებში მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც ათობით ქალაქი და დასახლებული რაიონი დაიტბორა. სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სიდნეისაც. წყლის საფარის სიმაღლე რიგ მონაკვეთებზე ნახევარ მეტრს აღწევს.

კლინტონს ქალების მომავალისა სჯერა

დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ ჰილარი კლინტონმა პირველი განცხადება გააკეთა. **პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ქალთა პრობლემებზე კალიფორნიაში მიმდინარე კონფერენციაზე ისაუბრა.**

„მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, კვლავინდებურად ვთვლი, რომ მომავალი ქალებისაა. ამის დასტურია ქალების მარში, რომელმაც ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიონობით ქალი გააერთიანა," — აცხადებს კლინტონი კონფერენციაზე ჩაწერილ ვიდეომიმართვაში.

მიწისძვრა თურქეთში

თურქეთში ორი ძლიერი მიწისძვრა მოხდა. **მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 5,3 და 5,5 მაგნიტუდა შეადგინა. სტიქიის შედეგად ჩანაკალეს პროვინციაში ათობით შენობა დაინგრა. არიან დაშავებულებიც. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.**

ინილავენ პეტიციას ტრამპის წინააღმდეგ

ბრიტანეთის **პარლამენტმა პეტიციის განხილვა დაიწყო, რომლითაც ბრიტანელებმა შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის დაბლოკვა მოითხოვეს.** პეტიციას მხარი თემთა პალატის სპიკერმაც დაუჭირა. ჯონ ბერკოუმ აღნიშნა, რომ ტრამპის ლონდონში ჩასვლას საემიგრაციო კანონის დაწესებამდეც არ ემხრობოდა.

ახალი რეგულაციების გამო კი ვესტმისტერში ტრამპის ნახვის სურვილი საერთოდ დაკარგა. დონალდ ტრამპის ვიზიტი ბრიტანეთში ივნისში იგეგმება. სტუმრობის წინააღმდეგ პეტიციას ხელი მილიონ 800 ათასმა ბრიტანელმა მოაწერა.

ნეთანიაჰუ ირანის წინააღმდეგ

ისრაელის **პრემიერი ბრიტანეთს ირანისთვის ახალი სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს.** ბენიამინ ნეთანიაჰუს თმით, ლონდონმა ტრამპის ადმინისტრაციას უნდა მიბაძოს და თეირანის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები უნდა აამოქმედოს. მისივე განცხადებით, ირანი საფრთხეს არამხოლოდ ისრაელს, არამედ მთელ ცივილიზებულ სამყაროს უქმნის.

მატყუარების რეიტინგი

ავსტრალიელმა **ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ ყველაზე ხშირად ტყუილს... ახალგაზრდა უცოლო მამაკაცები ლაპარაკობენ.**

ცრუპენტელების მწკრივში საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ასევე განათლების დაბალი ცენზის მქონე, თუმცა კი მაღალი შემოსავლის მქონე ახალგაზრდა გაუთხოვარმა ქალებმა.

ამასთან, საგულისხმოა, რომ სხვებზე იშვიათად ტყუილს ამბობენ ხანდაზმული ქალბატონები, თანაც მათ შორის ყოველი მეხუთე სიცრუის თქმას საერთოდ არასდროს კადრულობს.

ეს უძვირფასესი ფრედი...

გინესის **რეკორდების წიგნში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ძაღლია დანიური დოგის ჯიშის ხვადი ფრედი.**

მისი სიმაღლეა 2, 29 მეტრი, წონა — 92 კილოგრამი. ფრედის პატრონმა ინგლისელმა ქალბატონმა კლერ სტონმანმა მის გამო უარი თქვა პირად ცხოვრებაზე. ძაღლი და მისი და მას თავის შვილებად მიაჩნია და შენახვაზე წელიწადში 12,5 ათას გირვანქა სტერლინგს (თვეში დაახლოებით 2,2 ათას ლარს — რედ.) ხარჯავს. სხვათა შორის, ძაღლებს ძალიან ნაყვარებათ... შემწვარი ქათამი.

მაყვლის წვენში ჩადებული, ნეტავი, თუ რამე სხვაფრად?

ამბრუაზ პარეს კბილის ხიდი



არქეოლოგებმა **ერთ-ერთი უძველესი კბილის პროტეზი იპოვეს.**

იტალიაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მეცნიერებმა 400 წელზე მეტი ასაკის კბილების ოქროს ხიდი იპოვეს, რომელიც თანამედროვე ანალოგებისგან თითქმის არ განსხვავდება. მეცნიერები უფრო ადრინდელი პროტეზების ძებნას კვლავაც განაგრძობენ.

რამდენადაც ცნობილია, ამ მოწყობილობებს ამბრუაზ პარე ქმნიდა, რომელიც მე-16, მე-17 საუკუნეებში პარიზში სამეფო ექიმი იყო.

ოპტიმიზმის მადლი

მეცნიერთა **გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ცხოვრებისეული ოპტიმიზმი ამცირებს სიკვდილის რისკს ხუთი სახეობის დაავადებისგან.**

აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაში იმედიანად განწყობილ ქალბატონებს შორის სიკვდილის საფრთხე 30 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე მათ გულაცრუებულ თანატოლ მანდილოსნებში.

ინფექციური დაავადებებისგან სიკვდილის ალბათობა ოპტიმისტ ქალებში, პესიმისტებთან შედარებით, სულაც 52 პროცენტით, ინსულტისა და გულის დაავადებებისგან — შესაბამისად, 39 და 38 პროცენტით, კიბოსგან კი 16 პროცენტით მცირე აღმოჩნდა.

ყველაზე გრძელი სახელი

დარწმუნებული **ვართ, რომ მსოფლიოში, ფაქტობრივად, არ მოიძებნება კაცი, ვინც ერთი ინდოელი, გვარად ბრაჰმატას სახელს წარმოთქვამდეს, რადგან მისი დამახსოვრება შეუძლებელია.**

ამ სახელის წასაკითხავად კი არანაკლებ ათი წუთია საჭირო — იგი ხომ 1478 ასოსგან შედგება და ერთმანეთზე გადაბმულ აუარება ისტორიული ადგილის, მეცნიერის, თეოლოგისა და კიდევ ვინ იცის, ვისი სახელის ნაკრებს წარმოადგენს.

ბატონი ბრაჰმატი სიამაყით ამბობს, რომ, როგორც ჩანს, დედამიწის ზურგზე ყველაზე გრძელი სახელი მან თავადვე მოიგონა და ამით მშობლების მიერ დარქმეული, თუმცა კი ისიც ისეთი სახელი „დაამშვენა", რომლის „ენის მოუტეხავად" წარმოთქმა შეუძლებელია. ამ კაცს დედ-მამამ „ჰუმანანაჯსვაბატაშტარგონდასი" დაარქვა.

არადა, დაგვეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, რომ ამ ლამის 1500-ასოიანი სახელის წარმოთქმას ისევ ესა სჯობს, თუმცა თავად ბატონ ბრაჰმატას საკუთარი „შედევრი" გაცილებით უფრო მოსწონს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი **სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* **ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.**

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6795; ევრო - 2.8770;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3440;
100 რუბლი - 4.5546; თურქული ლირა - 0.7276;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4159;
1000 სომხური დრამი - 5.5191.

ამინდი 8 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -2,	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე -7,	დღე +9
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე -5,	დღე +10
თბილისი:	ღამე +2,	დღე +11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE